


# საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტები

თბილისის ეროვნული პარკი

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტები

# თბილისის ეროვნული პარკი

**დამკვეთი:** *დაცული ტერიტორიების სააგენტო*

**ფინანსური მხარდაჭერა:** *შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)*

**შემსრულებელი:** *შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“*

**თბილისი, 2023**

სარჩევი


1 წინასაპროექტო კვლევა....4

1.1 შესავალი....4
1.2 ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერება....4
1.3 დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის მოძიება/ გაცნობა და ანალიზი....4

2 გენერალური გეგმის შემუშავება....5

2.1 გენერალური გეგმის შემუშავება და აღწერილობითი ნაწილი....5
2.2 განმარტებითი ბარათი....5
2.2.1 გენერალური გეგმის შემუშავების საჭიროების ანალიზი....5
2.2.2 მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო....6
2.2.3 გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი....7
2.2.4 გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების არეალი....8
2.2.5 გენერალური გეგმის მიზნები და ამოცანები....8
2.2.6 საპროექტო არეალის განვითარების ხედვა....9
2.2.7 გენერალური გეგმის მოქმედების პერიოდი....10
2.2.8 გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანისა და განახლების პროცესი....10
2.2.9 გენერალური გეგმის შესრულების მონიტორინგი....10

3 დაცულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი....11

3.1 ზოგადი სიტუაციური ანალიზი....11
3.1.1 ადგილმდებარეობა და ფართობი....11
3.1.2 არსებული ზონირება....12
3.1.3 დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზანი და მისი ისტორიული განვითარება....14
3.1.4 ლანდშაფტები....15
3.1.5 ბიომრავალფეროვნება....15
3.1.5.1 ფლორა და მცენარეული საფარი....15
3.1.5.2 ფაუნა....16
3.1.5.3 ზურმუხტის ქსელის უბნები....16
3.1.6 კლიმატური პირობები....17
3.1.7 ჰიდროლოგიური პირობები....17
3.1.8 ზოგადი გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური აღწერა....17
3.1.9 ზოგადი სეისმოლოგიური მდგომარეობის აღწერა....18
3.1.10 მიწათასარგებლობის არსებული პრაქტიკა....18
3.1.11 არსებული ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა....19
3.1.12 არსებული კომუნიკაციების ქსელი....21
3.1.13 მომიჯნავედ არსებული დასახლებები....21
3.2 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის აღწერა....22
3.2.1 ტურიზმის განვითარების არსებული მიმართულებები....22
3.2.2 ისტორიულ-კულტურული ობიექტები, ძირითადი დაინტერესებული მხარეები, განვითარების პერსპექტივები....23
3.2.3 ტურისტული და რეკრეაციული ობიექტები, განვითარების პერსპექტივები, არსებული მოსარგებლეები და სხვა დაინტერესებული მხარეები....24
3.2.4 ტრადიციული საქმიანობებით და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალი, განვითარების პერსპექტივები, დაინტერესებული მხარეები....25
3.2.5 ეკოსისტემური სერვისები, დაინტერესებული მხარეები და განვითარების პერსპექტივები....26
3.2.6 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივები....27
3.3 დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის შედეგები....27

4 სარეკომენდაციო ნაწილი - პერსპექტიული (საპროექტო) ეკოტურისტული ლოკაციები....30

4.1 საპროექტო არეალის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია ..... 30
4.2 შეთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციები ..... 30
4.2.1 ალტერნატივა 1 – „მამკოდის ეკოტურისტული ლოკაცია“ ..... 33
4.2.1.1 ადგილმდებარეობის აღწერა ..... 33
4.2.1.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი ..... 34
4.2.1.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება ..... 35
4.2.1.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები ..... 37
4.2.1.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება ..... 39
4.2.2 ალტერნატივა 2 – „საბადურის ეკოტურისტული ლოკაცია“; ..... 40
4.2.2.1 ადგილმდებარეობის აღწერა ..... 40
4.2.2.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი ..... 41
4.2.2.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება ..... 42
4.2.2.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები ..... 46
4.2.2.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება ..... 47
4.2.3 ალტერნატივა 3 - „ზედაზნის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია“. ..... 48
4.2.3.1 ადგილმდებარეობის აღწერა ..... 48
4.2.3.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი ..... 49
4.2.3.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება ..... 49
4.2.3.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები ..... 52
4.2.3.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება ..... 52
4.3 კონსერვაციის პრინციპების დაცვა და უსაფრთხოება ..... 53
**5 დასკვნები და რეკომენდაციები ..... 53**
**6 გამოყენებული ლიტერატურა ..... 54**

# 1 წინასაპროექტო კვლევა

## 1.1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტს. გენერალური გეგმის პროექტი შემუშავებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ 2022 წელს დაწყებული საგრანტო პროგრამის საფუძველზე, რომელიც ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით.

გენერალური გეგმის პროექტი განსაზღვრავს მიზნებს, რომელთა მიღწევას ცდილობს დაცული ტერიტორიების სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია და სხვა სახელმწიფო უწყებები ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის. წინამდებარე დოკუმენტი, ასევე, ასახავს შესაძლო მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად. საერთაშორისოდ დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების პერიოდი მოიცავს უახლოეს 10 წელს. დოკუმენტი განსაზღვრავს გრძელვადიან ზოგად ხედვას, ხოლო მასში მოცემული მიდგომების და რეკომენდაციების იმპლემენტაცია რეკომენდებულია ეფუძნებოდეს დეტალურ მართვის გეგმებს, რომელიც უფრო მოკლევადიან პერიოდზე იქნება გათვლილი.

## 1.2 ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერება

ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერების დაგეგმარების პირველ ეტაპზე განისაზღვრა სავალე სამუშაოებში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფი. დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა საველე სამუშაოების ძირითადი მიზნები, დაიგეგმა ველზე მუშაობის გეგმა-გრაფიკი და გადაადგილების მარშრუტები და ა.შ. საველე კვლევა-დათვალიერების პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა ლანდშაფტის არქიტექტორის, სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტის, GIS-ის სპეციალისტისა და ეკოლოგისგან. პერსპექტიული ლოკაციების კვლევამ მოიცვა ინსტრუმენტალური გაზომვები და ფოტოგრაფირება, არსებული მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის მიმდებარედ მაცხოვრებლების, ასევე რეინჯერების ინტერვიუირების გზით). არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მოხდა პერსპექტიული ლოკაციების ექსპერტული შეფასება, შემდგომში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობის მხრივ.

დეტალური მეთოდოლოგია და შეფასების ანალიზი აღწერილია დოკუმენტის შემდგომ პარაგრაფებში.

## 1.3 დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის მოძიება/ გაცნობა და ანალიზი

დოკუმენტის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა არსებული ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს. პირველ ეტაპზე მოხდა არსებული დოკუმენტაციის შეგროვება დაცული ტერიტორიების სააგენტოდან და სხვა ორგანიზაციებიდან, რომლებიც მუშაობენ თბილისის ეროვნული პარკის განვითარების მიმართულებით. წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში გაანალიზებული იქნა საჯარო ინფორმაცია, მათ შორის თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა - 2017 და სხვა.

გარდა ამისა, მოხდა ეროვნული პარკის ადმინისტრაციიდან ტურისტული ნაკადების შესახებ უახლესი სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვა, ასევე, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სხვა დაინტერესებულ პირებთან.

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა ექსპერტული ჯგუფის მიერ და აისახა დოკუმენტში.

# 2 გენერალური გეგმის შემუშავება

## 2.1 გენერალური გეგმის შემუშავება და აღწერილობითი ნაწილი

გენერალური გეგმის პროექტის შემუშავება განხორციელდა ტექნიკური დავალების შესაბამისად, წინასაპროექტო კვლევის შედეგებზე და მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. გენერალური გეგმის პროექტი შედგება აღწერილობითი (ტექსტური) და გრაფიკული ნაწილებისგან.

გენერალური გეგმის აღწერილობითი ნაწილი მოიცავს სამიზნე დაცულ ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევების შედეგებს და ლიტერატურული/საფონდო მასალებიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს. ასევე წარმოდგენილია საველე კვლევისას შერჩეული პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაციების აღწერა და მათი განვითარების კონცეფციის მიმოხილვა. გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი მომზადებულია წინასაპროექტო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე და მოიცავს აღწერილობითი ნაწილის დარუკებას.

## 2.2 განმარტებითი ბარათი

### 2.2.1 გენერალური გეგმის შემუშავების საჭიროების ანალიზი

ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტების მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, იმ დაცული ტერიტორიებისათვის, სადაც დაშვებულია რეკრეაციული აქტივობები და ვიზიტორთა მიერ აქტიურად ხდება აღნიშნული ტერიტორიებით სარგებლობა. ასევე მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე იმ ტერიტორიებისათვისაც, სადაც ჯერ-ჯერობით არ არის განვითარებული ეკოტურიზმი, თუმცა კანონის შესაბამისად წარმოადგენს დაშვებულ აქტივობას.

ეკოტურიზმის განვითარებამ, მათ შორის ვიზიტორთა და ტრადიციული გამოყენების ზონებში ახალი ეკოტურისტული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობამ შესაძლოა გაზარდოს დაცულ ტერიტორიების ქაოტური განვითარების რისკები, ამით დაიკარგოს დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური და საინვესტიციო ღირებულება. შესაძლოა ამ რეალობით ეროვნული პარკები გახდეს ნაკლებად მიმზიდველი სხვადასხვა სახის ინვესტიციებისთვის.

აუცილებელი პირობაა, რომ დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარება და მართვა განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

თბილისის ეროვნული პარკი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენს, როგორც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით, ასევე საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს ტურისტული თვალსაზრისით, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ვიზიტორებში.

ბოლო წლებში, მსგავსად საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებისა, თბილისის ეროვნულ პარკში გატარდა სხვადასხვა ღონისძიება ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მათ შორის განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, ნაბიჯები გადაიდგა დაცული ტერიტორიის ეფექტურად მართვის მიმართულებით (მათ შორის შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ 2017

წელს დამტკიცებულია თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, 6 წლიანი მოქმედების პერიოდით). განვითარდა ეკოსაგანმანათლებლო მიმართულება. ადმინისტრაციისათვის ასევე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობა, რისთვისაც შექმნილია და გამოიყენება შესაბამისი საინფორმაციო საშუალებები და ა.შ.

მიუხედავად ამისა, გამოწვევად რჩება რიგი საკითხები - სრულად არ არის გამოყენებული დაცული ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული და ლანდშაფტური პოტენციალი. ხაზგასასმელია, რომ თბილისის ეროვნული პარკი მდებარეობს ქვეყნის და რეგიონის მნიშვნელოვანი ინდუსტრიული, სოციალური და კულტურული ცენტრის - ქ. თბილისის მომიჯნავედ. ესეთი განლაგება სათანადო დაგეგმარების გარეშე ზრდის ტურისტული ინფრასტრუქტურის უსისტემო განვითარების, აქ წარმოდგენილი ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენების და ბუნებრივ-კულტურულ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მდგრადი ხედვის ჩამოყალიბება. ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავების და შემდგომში მისი დეტალიზაციით შესაძლებელი იქნება საკმაოდ მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღება. მნიშვნელოვანია, ეკოტურიზმის განვითარება მოხდეს არსებული ეკოსისტემური სერვისების პოტენციალის ეფექტური გამოყენებით, თუმცა მათი შენარჩუნებისა და გაძლიერების გზით.

### 2.2.2 მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

გენერალური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სამართლებრივი დოკუმენტები მოცემულია ცხრილში 2.2.2.1.

ცხრილი 2.2.2.1. დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სამართლებრივი დოკუმენტები

| მიღების/ დამტკიცების წელი | კანონის/ნორმატიული დოკუმენტის დასახელება | სარეგისტრაციო კოდი |
|---|---|---|
| 1996 | საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ.“ | 360.050.000.05.001.000.127 |
| 2007 | საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ.“ | 360.050.000.05.001.003.060 |
| 1996 | საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ.“ | 360.000.000.05.001.000.184 |
| 2018 | საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.“ | 330090000.05.001.019104 |
| 2007 | საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.“ | 450.030.000.05.001.002.815 |
| 2014 | საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი.“ | 360160000.05.001.017608 |
| 2017 | საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.“ | 360160000.05.001.018492 |
| 2014 | საქართველოს მთავრობის №17 დადგენილება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი.“ | 300160070.10.003.017608 |
| 2016 | საქართველოს მთავრობის №475 დადგენილება. ტექნიკური რეგლამენტი - „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე.“ | 300160070.10.003.019541 |
| 2017 | საქართველოს კანონი „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ.“ | 360.060.000.05.001.003.048 |
| 2019 | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-4 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. | 360050000.22.023.016564 |

დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული საერთაშორისო კონვენციები, რომელზეც მიერთებულია საქართველო:

- ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია (ბერნის კონვენცია, 1979 წ.);
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რიო დე ჟანეირო, 1992 წ;
- კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
- კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

### 2.2.3 გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი

დოკუმენტის შემუშავების პროცესი მოიცავდა ორ ძირითად ეტაპს: საოფისე სამუშაოებს, რაც ითვალისწინებდა არსებული მასალების მოძიებასა და დამუშავებას და სამიზნე ტერიტორიებზე საველე კვლევებს, მათ შორის დაინტერესებულ მხარეებთან (დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობა, მცირე მეწარმეები და სხვა) შეხვედრებსა და დისკუსიებს.

მოძიებული იქნა თბილისის ეროვნულ პარკთან დაკავშირებით შემუშავებული დოკუმენტაცია (მათ შორის არსებული მენეჯმენტის გეგმები და სხვა), გაანალიზებული იქნა მათში წარმოდგენილი ძირითადი ასპექტები და პრიორიტეტები, რაც შემდგომში, დაცული ტერიტორიების საზღვრებში სამიზნე ტერიტორიების შერჩევის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

გარდა ამისა, მოძიებული და გაანალიზებული იქნა შესაბამისი საფონდო მასალა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც შეეხება დაცული ტერიტორიის საზღვრებში ბუნებრივი კომპონენტების (ლანდშაფტური მახასიათებლები და ბიომრავალფეროვნება, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები და ა.შ.) არსებულ მდგომარეობას. ასევე მოხდა არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ორგანიზაციების საჯარო წყაროებზე დაყრდნობით.

გარკვეული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი გახდა ადგილზე მომუშავე პერსონალისგან (რეინჯერები და სხვა). გათვალისწინებული იქნა მათი წარსული გამოცდილება და მოსაზრებები პოტენციურ სამიზნე ტერიტორიებთან, ადგილობრივი მოსახლეობის მთავარ გამოწვევებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

საოფისე სამუშაოების საფუძველზე დაიგეგმება საველე კვლევების მეთოდოლოგია. წინასწარ მოინიშნა შესაბამისი ადგილები და მარშრუტები. ამ მხრივ აქცენტი გაკეთდა დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ ტერიტორიებზე. მომზადდა შესაბამისი (საველე კვლევის პროცესში გამოსაყენებელი) კარტოგრაფიული მასალები (ელექტრონული და ბეჭდური სახით). საველე სამუშაოები შესრულდა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტის მიერ.

სამიზნე ტერიტორიების კვლევა-დათვალიერების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგი კომპონენტების შესწავლაზე:

- ადგილმდებარეობა, სამიზნე ტერიტორიების ხელსაყრელი განლაგება არსებული და პოტენციური ტურისტული მარშრუტების მიმართ;
- განაშენიანება, არსებული შენობა-ნაგებობები და საინჟინრო კომუნიკაციები, მათი ფუნქციური დატვირთვა. არსებული შენობა-ნაგებობების დიზაინი, მათი სამშენებლო მასალების მახასიათებლები და ა.შ.;
- რელიეფური და გეოლოგიური პირობები, მათ შორის მიმდინარე გეოდინამიკური და ჰიდროლოგიური პროცესები და მათთან დაკავშირებული საფრთხეები;

- ბიომრავალფეროვნების (ლანდშაფტები, მცენარეული საფარი, ცხოველები და მათი პოტენციური საბინადრო ადგილები, ნიადაგი) არსებული მდგომარეობა და ხარისხობრივი შეფასება. არსებული და სამომავლოდ მოსალოდნელი ზემოქმედება, მათი მგრძნობელობა და ა.შ.;
- ისტორიულ-კულტური მემკვიდრეობის ძეგლები;
- სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, მათ შორის: მიწათსარგებლობის არსებული პრაქტიკა; მიმდებარედ არსებული დასახლებული ზონის მოსახლეობის კავშირი და დამოკიდებულება სამიზნე ტერიტორიებზე და ა.შ.

### 2.2.4 გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების არეალი

ტექნიკური დავალებიდან გამომდინარე გენერალური გეგმის მოქმედების არეალი მოიცავს მხოლოდ დაცული ტერიტორიის საზღვრებს - ვიზიტორთა, ტრადიციული გამოყენების და ისტორიულ-კულტურულ ზონებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მოქმედების არეალი ფარავს თბილისის ეროვნული პარკის პრაქტიკულად მთლიან არეალს (გარდა მკაცრი დაცვის ზონებისა), თუმცა ორიენტირებულია კვლევის შედეგად შერჩეულ პერსპექტიულ ეკოტურისტულ ლოკაციებზე, ეკოტურისტულ მარშრუტებზე და მათ ფარგლებში არსებულ ან დაგეგმილ სხვადასხვა ეკოტურისტულ სერვისებზე.

### 2.2.5 გენერალური გეგმის მიზნები და ამოცანები

გენერალური გეგმის მიზნებს წარმოადგენს:

- თბილისის ეროვნული პარკის პოპულარიზაცია;
- ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების დამატებითი ნაკადების მოზიდვის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი თემების, მცირე მეწარმეების და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობის ზრდის ხელშეწყობა, რათა მათ ისარგებლონ ეკოტურიზმის პოტენციალით, გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და გაზარდონ თავიანთი შემოსავლები;
- მსხვილი და საშუალო ბიზნესის დაინტერესება ინვესტირებისთვის;
- ბუნებრივი გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის მაქსიმალური შენარჩუნება და ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაცია;
- დაცული ტერიტორიების მართვის მექანიზმების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ქვეყნის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ძირითადი ამოცანებია:

- ეკოტურიზმის განვითარების პროცესში ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების გათვალისწინება;
- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და დოკუმენტის შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ეკოტურისტული სერვისების იდენტიფიცირება (საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება და პერსპექტივების დასახვა);
- დეტალური გენერალური გეგმების შემუშავებისთვის სამიზნე აუდიტორიის, პერსპექტიული საინვესტიციო ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- დაცული ტერიტორიის საზღვრებში სივრცითი დაგეგმარების კონცეფციის შემუშავება (ეკოტურისტული სერვისები, მარშუტები, ბილიკები, ღირსშესანიშნაობები, ზიპლაინი, კლდეზე ცოცვა და ა.შ.).

### 2.2.6 საპროექტო არეალის განვითარების ხედვა

თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების, მათ შორის შერჩეული პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაციების განვითარების ხედვა ეფუძნება მდგრადი ტურიზმის განვითარების პრინციპებს და ითვალისწინებს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიას, საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით დაცული ტერიტორიების საზღვრებში ეკოტურიზმის განვითარებისას პრიორიტეტი ენიჭება არსებული ბუნებრივი გარემოს და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვას, შენარჩუნებას და მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვას. საჭიროა ეკოტურიზმის განვითარების ყველა ეტაპი უზრუნველყოფდეს დაინტერესებულ პირთა მაქსიმალურ ჩართულობას, რის საფუძველზე გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი ტრადიციები, ცხოვრების წესი და კულტურული ღირებულებები.

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად თბილისის ეროვნული პარკის ფარგლებში ეკოტურიზმის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგს:

- მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით ეკოტურისტული სერვისების დანერგვა და არსებულის განვითარება;
- არსებული და პერსპექტიული ეკოსისტემური სერვისებისთვის ეკონომიკური ღირებულების მინიჭება. უნდა მოხდეს ისეთი რეკრეაციული და საგანმანათლებლო აქტივობების და ახალი ტურისტული პროდუქტების გამოვლენა, რომლებიც ეფუძნება ადგილობრივ ბუნებრივ-კულტურულ ფასეულობებს, კონსერვაციის მიზნებს და ამავე დროს წარმოადგენს შემოსავლის დამატებით წყაროს, მათ შორის:
    - დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისთვის (იგულისხმება პირდაპირი შემოსავლის გამომუშავება დაცული ტერიტორიების კონსერვაციისთვის);
    - ადგილობრივი მოსახლეობისთვის (იგულისხმება ადგილობრივი თემების უშუალო და არაპირდაპირი შემოსავლის ზრდის ხელშეწყობა, რაც დაცული ტერიტორიის კონსერვაციის დამატებით სტიმულს წარმოადგენს);
- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

თბილისის ეროვნული პარკის საზღვრებში არსებობს რამდენიმე გამორჩეული ლოკაცია, სადაც ეკოტურიზმის განვითარებისთვის საკმაოდ ხელსაყრელი საფუძველი არსებობს (როგორც მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურის, ასევე ტურისტული ბაზრის თვალსაზრისით). ამავე დროს ეროვნული პარკის საზღვრებში წარმოდგენილია ადგილები, სადაც არანაკლები ღირებულების ბუნებრივი და კულტურული გარემოა, თუმცა ინფრასტრუქტურის არარსებობის და დაბალი ცნობადობის გამო, ეკოტურიზმი გაცილებით ნაკლებად არის განვითარებული.

დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოტურისტული განვითარების ხედვა ხელს უწყობს განვითარების მეტ-ნაკლებად თანაბარ შესაძლებლობას დაცული ტერიტორიების ნებისმიერ პერსპექტიულ ეკოტურისტულ ლოკაციას. აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა წარმოჩინდეს დღეისათვის ნაკლებად ცნობადი, თუმცა ბიომრავალფეროვნებით და კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით საინტერესო ტერიტორიები.

თვალწარმტაცი ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემო და მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი კომუნიკაციები ეკოტურიზმის არაერთი მიმართულებით განვითარების და სხვადასხვა ინტერესის მქონე ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობას იძლევა. რაც მთავარია ადგილობრივი ბუნებრივი პირობები ქმნის ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივას როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის სეზონზე. ტურისტული სეზონი საკმაოდ ხანგრძლივად შეიძლება გაგრძელდეს.

### 2.2.7 გენერალური გეგმის მოქმედების პერიოდი

გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების პერიოდი მოიცავს უახლოეს 10 წელს და არის სარეკომენდაციო ხასიათის.

### 2.2.8 გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანისა და განახლების პროცესი

დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და განახლება უნდა მოხდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, დადასტურებული საჭიროებისამებრ. გენერალური გეგმის პროექტი მომზადებულია ზოგადი კვლევების საფუძველზე და წარმოადგენს ცოცხალ დოკუმენტს. ცვლილებების შეტანა უნდა განხორციელდეს ხელახლა განხორციელებული დეტალური კვლევების საფუძველზე.

### 2.2.9 გენერალური გეგმის შესრულების მონიტორინგი

წინამდებარე გენერალური გეგმის პროექტის მონიტორინგი მიზნად უნდა ისახავდეს დოკუმენტში ასახული ტურისტული და ინფრასტრუქტურული განვითარების ზოგადი ხედვების და პრინციპების გათვალისწინებას/ასახვას დაცული ტერიტორიებისთვის მომზადებულ დეტალურ დოკუმენტებში/პროექტებში (მაგ. მენეჯმენტის გეგმა, საინვესტიციო პროექტები, სხვადასხვა კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტები და სხვ.). გენერალური გეგმის პროექტის პრინციპების გათვალისწინებას მონიტორინგს გაუწევს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო “და ტერიტორიული ადმინისტრაცია.

# 3 დაცულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი


## 3.1 ზოგადი სიტუაციური ანალიზი

### 3.1.1 ადგილმდებარეობა და ფართობი

თბილისის ეროვნული პარკი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების II კატეგორიას) მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისის ჩრდილოეთით. ადმინისტრაციული თვალსაზრისით ეროვნული პარკი მოიცავს სამი მუნიციპალიტეტის ტერიტორიას: მცხეთის, თიანეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს. მომიჯნავე ადმინიტრაციული ერთეულებია: ქ. თბილისი, საგარეჯოს და დუშეთის მუნიციპალიტეტები. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ეროვნული პარკი განფენილია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთების - საგურამოს, იალნოსა და საბადურის ქედების სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობებზე. ეროვნული პარკის ფართობია 21036,1 ჰა.

თბილისის ეროვნული პარკის მდებარეობა ნაჩვენებია ნახაზზე 3.1.1.1.

ნახაზი 3.1.1.1. თბილისის ეროვნული პარკის ადგილმდებარეობა




ეროვნული პარკის ჩრდილოეთ საზღვარი იწყება მდ. არაგვის მარჯვენა სანაპირო ზოლიდან და თავდაპირველად მიუყვება საგურამოს ქედის ჩრდილოეთ კალთის მთისწინეთს (მუხრან-საგურამოს ვაკის სამხრეთი საზღვრის გასწვრივ). მდ. თეზამის ხეობის და ქართლის ქედის გადაკვეთის შემდგომ ჩრდილოეთ საზღვარი გადადის ივრის აუზში. აქ საზღვარი გადის ერწოს ქვაბულის სამხრეთ პერიფერიაზე და აღწევს გომბორის ქედის სამხრეთ კალთებამდე. ეროვნული პარკის აღმოსავლეთ საზღვარი მიუყვება იალნოს ქედის ჯერ ჩრდილო, შემდგომ სამხრეთ კალთებს. დაცული ტერიტორიის სამხრეთი საზღვარი მიუყვება ჯერ იალნოს ქედის, ხოლო შემდგომ საგურამოს სამხრეთ მთისწინეთს. დასავლეთ საზღვარი გადის საგურამოს ქედის დასავლეთ ფერდობზე, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე.

### 3.1.2 არსებული ზონირება

თბილისის ეროვნული პარკის ფუნქციონალური ზონირება განსაზღვრულია 2017 წელს დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმის საფუძველზე. ზონირების მიზანია მასზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების გამოყენების, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განხორციელების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება. გამოყოფილია შემდეგი ფუნქციონალური ზონები:

ბუნების მკაცრი დაცვის ზონა - ზონა შექმნილია იმ ხელუხლებელი ბუნებისა და ჰაბიტატის შესანარჩუნებლად, რომლებიც ახლოს არიან თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობასთან, ასევე არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევებისა და ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ჩასატარებლად. ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ფართობია 2646,8 ჰა;


ვიზიტორთა ზონა - ზონა გამოყოფილია ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ეს ზონა მოიცავს ტერიტორიებს, რომლებმაც განიცადეს მეტნაკლები ცვლილებები ადამიანის ჩარევის შედეგად, მაგრამ არ არის დაშვებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა (კანონმდებლობით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა) და სადაც წარმოდგენილია ეკოსისტემის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიმუშები. ვიზიტორთა ზონაში მდებარეობს დამთვალიერებლებისთვის საინტერესო და მიმზიდველი ადგილები. ამ ზონაში ასევე შედის ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ცხოველების ჰაბიტატებს და სამიგრაციო ბილიკებს. ვიზიტორთა ზონის ფართობია 4300,7 ჰა;

ტრადიციული გამოყენების ზონა - ზონა გამოყოფილია ბუნების დაცვის, ასევე განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენების მიზნით. ზონა მოიცავს ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ, განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად. ტრადიციული გამოყენების ზონის ფართობია 13512,64 ჰა;

ისტორიულ-კულტურული ზონა - ზონა გამოყოფილია ბუნებრივი გარემოს, ისტორიულ-კულტურული ობიექტებისა და არქიტექტურული ძეგლების დაცვის, აღდგენის, რეკრეაციის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის, მოქმედი საეკლესიო და სამონასტრო კომპლექსების მიმდებარედ თვითმყოფადი ბუნების შესანარჩუნებლად და მომლოცველებისათვის მშვიდი გარემო პირობების შესაქმნელად. ისტორიულ-კულტურული ზონის ფართობია - 576 ჰა.

თბილისის ეროვნული პარკის ზონირება მოცემულია ნახაზზე 3.1.2.1.

ნახაზი 3.1.2.1. თბილისის ეროვნული პარკის ზონირება



### 3.1.3 დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზანი და მისი ისტორიული განვითარება

თბილისის ეროვნული პარკის, როგორც დაცული ტერიტორიის ისტორია იწყება 1957 წლიდან, როდესაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შეიქმნა საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი. აქ არსებული ტყეები გამოცხადებული იქნა ფლორისა და ფაუნის კომპლექსურ ნაკრძალად. 1973 წელს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაარსდა კავკასიაში პირველი ეროვნული პარკი - თბილისის ეროვნული პარკი.

ყოფილი ეროვნული პარკის ნაწილისა და საგურამოს ნაკრძლის ბაზაზე თბილისის ეროვნული პარკი შეიქმნა 2007 წელს, საქართველოს კანონის ,,თბილისის ეროვნული პარკის შესახებ" საფუძველზე. ეროვნული პარკი ასევე გაფართოვდა თიანეთის, მცხეთისა და საგარეჯოს სატყეო მეურნეობების ხარჯზე.

კანონის თანახმად ეროვნული პარკი შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში იშვიათი სახეობის მცენარეებისა და ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ტყის ეკოსისტემების დაცვის, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში რეკრეაციული, ეკოტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. ეროვნული პარკი გაფართოვდა თიანეთის, მცხეთისა და საგარეჯოს სატყეო მეურნეობების, დიდგორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის ტყის ფონდის მიწების ნაწილისა და საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ხარჯზე.

ეროვნული პარკის შექმნის შემდგომ საკანონმდებლო დოკუმენტებში შეტანილი იქნა რამდენიმე ცვლილება ფართობის ცვლილებებთან დაკავშირებით, მათ შორის:

- 2007 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის №731 ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოიყო ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე ზედაზნის მონასტრისა და მის მიმდებარედ არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნები (სულ 4.9 ჰა მიწის ფართობი). მიჩენის ვადად განისაზღვროს 20 წელი;
- 2009 წლის 3 აგვისტოს „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გამოტანილი იქნა მაგისტრალური მილსადენებით დაკავებული ტერიტორია, რომლის შემდეგაც ეროვნული პარკის ფართობმა შეადგინა 22425,06 ჰა;
- 2011 წლის 31 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გამოტანილი იქნა ყოფილი თბილისის დენდროლოგიური პარკის და თბილისის ზღვის სატყეოს ტერიტორიები, რომლებიც გადაეცა თბილისის მერიას. ამორიცხული ფართობების საკონპენსაციოდ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილს მიენიჭა ეროვნული პარკის სტატუსი. აღნიშნული ცვლილების შემდეგ ეროვნული პარკის ფართობმა შეადგინა 23218,28 ჰა;
- 2014 წელს ჩატარდა თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის დემარკაცია, რომლის შედეგადაც ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გატანილი იქნა ის ტერიტორიები, რომლებიც არ შეესაბამება დაცული ტერიტორიის სტატუსს: სახეცვლილია ან არ გააჩნია კონსერვაციული ღირებულება ან არ შეესაბამება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს (საკარმიდამო ნაკვეთები, ხეხილის ბაღები და სხვა), საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ინფრასტრუქტურა, მოქმედი საკულტო ნაგებობები, სასაფლაოები და სხვა. 2015 წლის 3 ივნისს დემარკაციის შედეგების გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტის მიერ„ ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და ეროვნული პარკის ფართობმა შეადგინა 21036,14 ჰა.

2017 წლის 28 აპრილის საქართველოს მთავრობის №216 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი - თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა. მენეჯმენტის გეგმის მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიებისათვის გრძელვადიანი მიზნებისა და ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც უნდა განახორციელოს შესაბამისი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ მოცემული მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადაში, რაც 6 წელს შეადგენს.

მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების შემდგომ, ტექნიკურ რეგლამენტში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, რომელიც ძირითადად შეეხებოდა ეროვნული პარკის ზონებში დაშვებული საქმიანობების ნუსხას.

### 3.1.4 ლანდშაფტები

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მცენარეთა ვერტიკალური ზონალობა, როგორც მთიანი პირობებისათვის დამახასიათებელი მოვლენა, გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილება. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რელიეფის წმინდა თავისებურებებს მასში გარკვეული ცვლილებები შეაქვს. ეროვნული პარკის საზღვრებში წარმოდგენილია შემდეგი ტიპის ლანდშაფტები[1]:

- მთისწინეთის ბორცვიანი დენუდაციურ-კუმულაციური ლანდშაფტი უროიანი სტეპებისა და შიბლიაკის კომპლექსით, იშვიათად ფრიგანითა და ტყის დერივატებით (ლანდშაფტი 20);
- ვაკე-ბორცვიანი არიდულ-დენუდაციური ლანდშაფტი სტეპისა (უროიანი, ვაციწვერიანი) და შიბლიაკის მცენარეულობით (ლანდშაფტი 25);
- ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი და მუხნარი (ქართული მუხის) ტყეებით (ლანდშაფტი 79);
- საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი, იშვიათად ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით (ლანდშაფტი 89).

### 3.1.5 ბიომრავალფეროვნება

#### 3.1.5.1 ფლორა და მცენარეული საფარი

თბილისის ეროვნული პარკის საწყვრებში წარმოდგენილია ძირითადად ტყის ტიპის ჰაბიტატები, თუმცა ასევე გვხდება მდელოს ტიპის ჰაბიტატები. გავრცელებულია მცენარეების 688 სახეობა. ტყის ტიპის ჰაბიტატებში გამოიყოფა ოთხი ძირითადი ტიპი:

- ნათელი ტყეების სარტყელი ზ.დ. 600 მ-მდეა გავრცელებული, რომელიც წარმოდგენილია ღვიების, ძეძვის და სხვა დაბალტანიანი ხეების და ბუჩქნარებისაგან. მცენარეული საფარის ძირითადი სახეობებია ჯაგეკლიანი ფორმაციები: ძეძვი *(Paliurus spina-christi),* კვრინჩხი *(Prunus spinosa),* შავჯაგა *(Rhamnus pallasii),* ჯაგრცხილა *(Carpinus orientalis)* და სხვადასხვა ქსეროფილური ტიპის ბალახეულობა;
- მუხის ტყეების სარტყელი ვრცელდება ზ.დ. 600 მ-დან და 1000 მ-მდე. ძირითადად გვხვდება თხემებზე. მცენარეთა ძირითადი სახეობებია: მუხა (*Quercus iberica*), ჯაგრცხილა *(Carpinus orientalis),* კავკასიური რცხილა *(Carpinus betulus)* იფანი *(Fraxinus excelsior)* და სხვა;
- 700-1250 მეტრ ზონაში, სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე წარმოდგენილია რცხილნარი, და რცხილნარ-მუხნარი ტყეები;
- წიფლის ტყის სარტყელი ვრცელდება ზ.დ. 1000 მ-დან 1600 მ-მდე. მცენარეულ საფარში წამყვანი ადგილი უკავია შემდეგ სახეობებს: აღმოსავლური წიფელი *(Fagus orientalis),*

[1] წყარო: მონოგრაფია „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი“ (დალი ნიკოლაიშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. - [თბ.], 2009 წელი

კავკასიური რცხილა *(Carpinus caucasica).* სხვა სახეობებია: ქართული მუხა *(Quercus iberica),* მურყანი *(Alnus barbata)* და სხვა.

მდელოს ტიპის ჰაბიტატები მცირე ფართობებზე, ლოკალურად არის გავრცელებული (ძირითადად მთისწინეთის ზონაში). შედარებით შესამჩნევია ანთროპოგენური ზემოქმედების (ძირითადად ძოვება) კვალი. ამ ტიპის ჰაბიტატების ედიფიკატორებია: ურო *(Andropogon ischaemum),* ვაციწვერას რამდენიმე სახეობა *(Stipa stenophylla)* და სხვა.

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიების ფარგლებში წარმოდგენილია საქართველოს წითელ ნუსხაში შეყვანილი მცენარეთა შემდეგი სახეობები: კოლხური ბზა *(Buxus colchica Pojark.)* (VU), უთხოვარი *(Taxus baccata L.)* (VU), შიშველი თელადუმა *(Ulmus glabra Huds.)* (VU), პატარა თელადუმა *(Ulmus Minor Mill.)* (VU), ჩვეულებრივი კაკალი *(Juglans regia L.)* (VU). აქ გავრცელებულია მესამეული პერიოდის კოლხეთის ფლორის წარმომადგენელები: კოლხური ჭყორი, კოლხური და პასტუხოვის სურო, აღმოსავლეთის ძახველი, თაგვისარა, უთხოვარი, კავკასიური დეკა, წყავი და სხვა.

### 3.1.5.2 ფაუნა

თბილისის ეროვნულ პარკში გავრცელებულია ძუძუმწოვრების 25-მდე სახეობა. მსხვილი და საშუალო ზომის ძუძუმწოვრებიდან უნდა აღინიშნოს რუხი მგელი *(Canis lupus),* მელა *(Vulpes vulpes),* ევროპული შველი *(Capreolus capreolus.* ლიტერატურული წყაროებით ცნობილია, თუმცა ბოლო პერიოდის ფაქტობრივი გარემოებებით არ დაფიქსირებულა ისეთი სახეობები, როგორიცაა მურა დათვი *(Ursus arctos) (EN)* და ფოცხვერი *(Lynx lynx) (CR).* ხელფრთიანებიდან ლიტერატურულად ცნობილია: სამხრეთული ცხვირნალა *(Rhinolophus euryale),* ევროპული მაჩქათელა *(Barbastella barbastellus),* ჩვეულებრივი ფრთაგრძელი *(Miniopterus schreibersii),* სამფერი მღამიობი *(Myotis emarginatus).*

საფონდო მასალების მიხედვით ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შეიძლება შეგვხდეს 148 სახეობის ფრინველი, რომლებიც 17 რიგს წარმოადგენს. აღსანიშნავია ქორის *(Accipiter gentilis)* მრავალრიცხოვანი პოპულაცია. საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებიდან აღსანიშნავია ბექობის არწივი *(Aquila heliaca Savigny) (VU),* დიდი მყივანა არწივი *(Aquila clanga) (VU)* და ქორცქვიტა *(Accipiter brevipes) (VU).*

აქ გავრცელებულია ქვეწარმავლის 22-მდე სახეობა. მათ შორის ორი სახეობის კუ, ცხრა სახეობის ხვლიკი, და ათამდე სახეობის გველი. ქვეწარმავლების განსაკუთრებით მაღალი სიმჭიდროვე აღინიშნება საგურამოს ქედის სამხრეთ ფერდობებზე.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამდინარე მდინარეები მცირედებიტიანია და არ გამოირჩევა იქთიოფაუნის სიმრავლით და სახეობრივი მრავალფეროვნებით. მდინარე თეზამში შეიძლება შემოვიდეს მურწა *(Luciobarbus mursa),* მტკვრის გოჭალა *(Nemachilus brandti)* და სხვა სახეობები.

### 3.1.5.3 ზურმუხტის ქსელის უბნები

თბილისის ეროვნული პარკის დაცული ტერიტორიების საზღვრები მოიცავს პანევროპული ეკოლოგიური ქსელის - „ზურმუხტის ქსელი“ დამტკიცებულ უბანს „საგურამო“-ს (უბნის კოდი GE0000047).

**ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბანი „საგურამო“:**

*სარეგისტრაციო კოდი: GE0000047;*
*ფართობი: 21037.7 ჰა;*
*ბიოგეოგრაფიული რეგიონი: ალპური (100%);*
*ბოლო განახლების თარიღი: 02.2019;*

აღნიშნული უბანი მოიცავს რეზოლუცია #4-ის 5 ტიპის ჰაბიტატს, მათ შორის დომინანტურია ტყის ტიპის ჰაბიტატები: G1.6 - წიფლნარი, დაფარულობა - 2075 ჰა; G1.A1 - მუხნარ-იფნარ-რცხილნარი ტყეები ევტროფულ და მეზოტროფულ ნიადაგებზე, დაფარულობა - 1325.6 ჰა და G3.17 - ბალკანურ-პონტოური სოჭნარები, დაფარულობა - 1238.11 ჰა. ასევე წარმოდგენილია ბუჩქოვანი და მდელოს ტიპის ჰაბიტატები: F9.1 - მდინარეული ბუჩქნარი და E3.4 ნოტიო ან სველი ეუტროფული და მეზოტროფული ბალახოვანი ცენოზები.

„სტანდარტული მონაცემთა ფორმის“ მიხედვით ზურმუხტის ქსელის უბნების ფარგლებში გავრცელებულია რეზოლუცია #6-ის შემდეგი მნიშვნელოვანი სახეობები: ძუძუმწოვრებიდან უნდა აღინიშნოს მურა დათვი *Ursus arctos*, რუხი მგელი *Canis lupus* და წავი *Lutra lutra.* ასევე მრავალფეროვანია ხელფრთიანების წარმომადგენლები. ფრინველებიდან გამოსარჩევია ისეთი მტაცებლები, როგორიცაა: არწივის და ყანჩის რამდენიმე სახეობა, ზარნაშო *Bubo bubo,* ძერა *Milvus migrans* და სხვა. ქვეწარმავლებიდან - ხმელთაშუაზღვეთის კუ *Testudo graeca* და აღმოსავლური სავარცხლიანი ტრიტონი - *Triturus karelinii*. რამდენიმე ტიპის ჰაბიტატში შეიძლება შეგხვდეს წვრილფოთოლა იორდასალამი *Paeonia tenuifolia.*

### 3.1.6 კლიმატური პირობები

თბილისის ეროვნული პარკის რელიეფური პირობები (რთული ოროგრაფია, სიმაღლეთა მკვეთრი ცვალებადობა) გავლენას ახდენს კლიმატური პირობების ჩამოყალიბებაზე და განაპირობებს საკმაოდ კარგად გამოხატულ ზონალურობას. მთისწინეთის ზონაში კლიმატი სუბტროპიკული სემიჰუმიდურია. ხასიათდება შედარებით მშალი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ქვედა მთის ლანდშაფტურ ზონაში ზომიერად თბილი ჰუმიდური, სუსტად კონტინენტური, სემიჰუმიდურისაკენ გარდამავალი კლიმატია. შაუალო მთის ზონაში კლიმატი ჰუმიდური, ზომიერად კონტინენტურია, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით.

### 3.1.7 ჰიდროლოგიური პირობები

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროგრაფიული ქსელი არ არის ძალიან ხშირი. ძირითად არტერიებს წარმოადგენენ მდინარეები გლდანულა და თეზამი, რომლებიც უერთდებიან მდ. მტკვარს და მდ. არაგვს. გარდა აღნიშნული მდინარეებისა, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გვხვდება მრავალი პატარა მდინარე, რომლებიც გაზაფხულზე თოვლის დნობის პერიოდში დიდდება, ზამთარში კი წყლის სიმცირით ხასიათდებიან ან სრულად შრებიან. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამდინარე წყლის ობიექტები სათავეებს ღებულობენ წყაროებიდან, მაგრამ წვიმებისა და თოვლის ჩქარი დნობის შედეგად ისინი სწრაფად დიდდებიან.

### 3.1.8 ზოგადი გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური აღწერა

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია საკმაოდ რთული რელიეფით ხასიათდება, რაც ზეგავლენას ახდენს ნიადაგწარმოქმნის პროცესებზე და კლიმატურ პირობებზე. ტერიტორიაზე მრავლადაა ცალკეული ოროგრაფიული ელემენტები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია ხევებითა და ხრამებით, რაც მას (განსაკუთრებით საგურამოს ქედის სამხრეთ და დასავლეთ ფერდობებზე) დანაოჭებულ იერს აძლევს. შედარებით ნაკლებადაა დანაწევრებული ქედის ჩრდილო კალთები.

დაბალი მთის ზონაში ეროზიულ-დენუდაციური, ზოგან ეროზიულ-აკუმულაციური რელიეფია განვითარებული. გაბატონებულია საშუალო და ციცაბო ფერდობებიანი ზედაპირები. აგებული ნეოგენური კონტინენტური კონგლომერატებით, ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით.

საშუალო მთის ზონა, მათ შორის საგურამოსა და იალნოს ქედების თხემური ნაწილი ეროზიულ-დენუდაციურია. გაბატონებულია საშუალო და ციცაბო ფერდობები. საკმაოდ დანაწევრებულია გარდიგარდმო ეროზიული ხეობებით. ამ ზონაში გეოლოგია წარმოდგენილია იურული, ცარცული და მესამეული ტერიგენულ-კარბონატული, ფლიშური, მოლასური ტერიგენული და თიხოვანი ფორმაციებით.

თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიდან აღსანიშნავია სიბრტყითი გადარეცხვა, სიბრტყითი და სიღრმითი ეროზია, მეწყრები, ღვარცოფები.

### 3.1.9 ზოგადი სეისმოლოგიური მდგომარეობის აღწერა

ე. გამყრელიძის (2000) გეოტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია მოქცეულია ამიერკავკასიის მთათაშუა (II) აღმოსავლეთ დაძირვის ზონაში (მტკვრის მთათაშუა როფი) ($II^3$). MSK64 სკალის შესაბამისად ამ ზონის სეისმურობა 8 ბალს შეადგენს. ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში (სოფ. ცხვარიჭამიას მიმდებარედ) სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი - A 0.17-ს შეადგენს. აღმოსავლეთ ნაწილში (სოფ. კევლიანის არეალში) ეს მნიშვნელობა 0.18-ია (ზოგან 0,20), ხოლო დასავლეთ ნაწილში - 0.16.

### 3.1.10 მიწათასარგებლობის არსებული პრაქტიკა

თბილისის ეროვნული პარკის მთელი ტერიტორია განეკუთვნება სახელმწიფო ტყის ფონდს, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. დაცული ტერიტორიების სააგენტო და თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია მის მართვაზე. მომიჯნავე დასახლებულ პუნქტებში განვითარებულია მცირე ზომის საოჯახო მეურნეობები. საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები გამოიყენება როგორც სახნავ-სათესად, ასევე სათიბ საძოვრად. როგორც აღინიშნა, ბოლო პერიოდში განვითარდა სააგარაკე ზონები.

წარსულში ხე-ტყის ჭრა ძირითადად ხდებოდა სპეციალურად გაყვანილი სამანქანე და სატრაქტორე გზების მიმდებარედ. ხშირად ადგილი ჰქონდა ჭრის წესების დარღვევის ფაქტებს. ჭრები ინტენსიურად ხორციელდებოდა გავაკებულ ტერიტორიებზე. აღინიშნებოდა ბრაკონიერობის გახშირებაც. სიტუაცია უკანასკნელი წლების მანძილზე რადიკალურად გაუმჯობესდა: ადმინისტრაციამ აღკვეთა უკანონო ჭრები და შეამცირა ტყეკაფების გამოყოფა პარკის ტერიტორიაზე. მომიჯნავე სოფლების მოსახლეობის შეშაზე მოთხოვნის კლების გამო სიტუაცია უმჯობესდება. ამის მიზეზია, რომ ბოლო პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს მიმდებარედ არსებული სოფლების გაზიფიცირება.

ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში და ცალკეულ შემთხვევებში ვიზიტორთა ზონაში დაშვებულია ზოგიერთი განახლებადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, როგორიცაა ადგილობრივი თემების უზუნველყოფა საშეშე მერქნის ლიმიტირებული რაოდენობით, ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება, მათ შორის: კაკალი, კენკრა, სოკო და სხვა საკვები მცენარეების ნაყოფი, აგრეთვე ეროვნულ პარკში არსებული წყაროებიდან წყლის რესურსებით სარგებლობა.

ეროვნული პარკის ტერიტორიის ერთი ობიექტი (ზედაზნის მონასტერი) (სულ 4,9 ჰა) საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 30 დეკემბრის №731 ბრძანებულებით გადაცემულია საქართველოს საპატრიაქოსათვის მიჩენის წესით (20 წელი) რელიგიური და სარიტუალო ღონისძიებათა ხელშეწყობის მიზნით.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები: ელექტროგადამცემი ხაზები, მიწისქვეშა წყლის გვირაბი, რომელიც ბულაჩაურის წყალსაცავიდან წყალს აწვდის თბილისის წყალსაცავს.

ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის შედეგად (ტერიტორიების სათიბ-საძოვრად გამოყენება, ტყის რესურსების გამოყენება და სხვა) ზოგიერთ უბანზე შეჭრილია მეორადი მცენარეულობა - სემიარიდული ტყეებისა და ბუჩქნარების სახით. გარდა ამისა, ანთროპოგენური გავლენის ფაქტორებია ინფრასტრუქტურული ობიექტების არსებობა (საავტომობილო გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, გაზსადენი და სხვა). ამ ზონაში ლანდშაფტის საფრთხეს ასევე წარმოადგენს ეროზიული პროცესები, რომელიც თავის მხრივ ხშირაც ანთროპოგენური გავლენით არის პროვოცირებული.

### 3.1.11 არსებული ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა

თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წიწამურში. შენობა საჭიროებს რეაბილიტაციას. გარდა ამისა, დაცული ტერიტორიების სააგენტოს სარგებლობაშია სოფ. გლდანში და სოფ. მამკოდაში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომლებიც ასევე ამორტიზებულია და საჭიროებს მათ დემონტაჟს/ახლით შეცვლას. დღეისათვის პარკს არ გააჩნია ვიზიტორთა ცენტრი, თუმცა მიმდინარებს საგურამოს ვიზიტორთა ცენტის მშენებლობა ზედაზნის მიმდენარე ტერიტორიაზე.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე 2 მარკირებული ბილიკია: ზედაზენი-მამკოდას და შანკევანი-დარბაზების ბილიკები. საბადურის ტყეში მოწყობილია მცირე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის საპიკნიკე და ცეცხლის დასანთები ადგილები. 2 საპიკნიკე ადგილი ასევე მოწყობილია ზედაზენი მამკოდას ბილიკზე. გარდა ამისა, შანკევანში მოწყობილია საბავშვო გასართობი სივრცე.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ასევე უნდა აღინიშნოს შემდეგი არსებული და პერსპექტიული ეკოტურისტული ბილიკები:

1. **საგურამოს პერსპექტიულ ვიზიტორთა ცენტრთან დაკავშირებული ტურისტული მარშრუტები:**

როგორც აღინიშნა საგურამოსთან იგეგმება ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა. ამ პერსპექტიული ტურისტული ობიექტიდან განიხილება არაერთი ტურისტული მარშრუტი სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: საგურამოს ადმინისტრაცია-ცხვარიჭამია (სიგრძე - 16.7 კმ), საგურამოს ადმინისტრაცია-საგურამოს ქედი-მამკოდა (8,3 კმ), საგურამოს ადმინისტრაცია - შანკევანი (4.8 კმ), საგურამოს ადმინისტრაცია-ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი (3 კმ), საგურამოს ადმინისტრაცია-საგურამოს ქედი-კოტორაანთკარი (7,9 კმ), საგურამოს ადმინისტრაცია-საგურამოს ქედი-მშრალ-ხევი (7,2 კმ).

ჩამოთვლილი მარშრუტები მარტივ კატეგორიაში გადის და წარმოადგენს როგორც საფეხმავლო ბილიკებს, ასევე შესაძლებელია ცხენით გადაადგილება. მარშრუტების ნაწილი სამანქანო გზას მიუყვება. აღნიშნულ მარშრუტებზე განიხილება საცეცხულრების, საპირფარეშოების და თავშესაფარი ქოხების მოწყობა (ძირითადად მამკოდისკენ მიმავალ მარშრუტზე). ასევე ბილიკები მოწესრიგდება (ჰუმუსის ფენის მოჭრა-დასაწყობება და გადაშლა, მოჭრილი მონაკვეთის მოშანდაკება, მანიშნებელი და საინფორმაციო დაფების მონტაჟი).

2. **საბადური-სათიბის ქოხი-თეზამი-კევლიანი-იკვლივგორანა**

ბილიკი საბადურის პერსპექტიულ ქოხთან (კოტეჯი) იწყება, და ძველ სამანქანო გზას მიუყვება. გაივლის სათიბის პერსპექტიულ ქოხს, რომელიც ასევე საბადურის ქედზე მდებარეობს. სათიბის ქოხიდან შესაძლებელია თეზამის მიმართულებით გადაადგილება, რომელიც ასევე ძველ სამანქანო გზას მიუყვება. ბილიკი ჯერ ფართოფოთლოვანი ხეებით და ფარულ სეგმენტზე, შემდეგ კი ბუჩქოვან ტყეში გადის. სათიბის ქოხიდან შესაძლებელია მარშრუტის გაგრძელება ორი ალტერნატიული მიმართულებით, კევლიანის და

იკვლივგორანასკენ. აღსანშნავია, რომ კევლიანიდან შესაძლებელია მარშრუტის გაგრძელება იალნოს პერსპექტიული კოტეჯისკენ.

ყველა ეს მარშრუტი მარტივ კატეგორიას განეკუთვნება და შესაძლებელია როგორც საფეხმავლო, ასევე ცხენებით გადაადგილება. ძირითადი ეკოსტურტისტული ინფრასტრუქტურის (საპიკნიკე, საცეცხულრები, საპირფარეშო) მოწყობა განიხილება საბადურის ქედზე, კერძოდ სათიბის პერსპექტიული კოტეჯის სიახლოვეს. ბილიკების მოწესრიგება გულისხმობს: ჰუმუსის ფენის მოჭრა-დასაწყობება და გადაშლა, მოჭრილი მონაკვეთის მოშანდაკება, მანიშნებელი და საინფორმაციო დაფების მონტაჟი.

### 3. მამკოდა-ნორიო-იალნოს ქედი-მარტყოფი-ლელუბანი


ბილიკი სოფ. მაგრანეთში იწყება, და მალევე შედის დაცული ტერიტორიაზე, ძველსამანქანო გზას მიუყვება. კრეფს სიმაღლეს იალნოს ქედისკენ და უერთდება ქსელის ერთ-ერთ მთავარ ღერძს იალნოს ქედზე გამავალ ბილიკს. იალნოს ქედიდან შესაძლებელია როგორც მარტყოფის, ასევე ლელუბნის მიმართულებით გადაადგილება. იალნოს ქედზე იგეგმება ტურისტული კოტეჯის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის (საპიკნიკე, საცეცხლური, საპირფარეშო) მოწყობა. ბილიკები გადის როგორც მეჩხერ, ასევე ხშირი ტყით დაფარულ ტერიტორიებზე. ძირითადად მარტივ კატერგორიას განეკუთვნება და შესაძელებლია როგორც ფეხით, ასევე ცხენით გადაადგილება.

### 4. ცხვარიჭამია-იალნოს ქედი-გორანა-კევლიანი-ნორიო

ბილიკი სოფ. ცხვარიჭამიაში იწყება, და მალევე შედის დაცული ტერიტორიაზე, ძველსამანქანო გზას მიუყვება. ბილიკი ჯერ ბუჩქოვან ტყეში მიდის და შემდეგ ხშირ, ფართეფოთლოვანი ხეებით დაფარულ ტყეში გრძელდება. ბილიკი უერთდება იალნოს ქედზე გამავალ ეკოტურისტულ მარშრუტს. აქვე დაგეგმილია იალნოს ეკოტურისტული კოტეჯის და შესაბამისი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. იალნოს პერსპექტიული კოტეჯიდან შესაძლებელია მარშღუტის გაგრძელება გორანას, კევლიანის და ნორიოს მიმართულებით. ეს მარშრუტები ძირითადად მარტივ კატეგორიას განეკუთვნება. შესაძლებელია ფეხით ან ცხენით გადაადგილება.

არსებული და პერსპექტიული ტურისტული ბილიკების განლაგების სქემა მოცემულია ნახაზზე 3.1.11.1.

ნახაზი 3.1.11.1. ტურისტული ბილიკების სქემა




### 3.1.12 არსებული კომუნიკაციების ქსელი

თბილისის ეროვნული პარკთან კავშირში მყოფ მთავარ სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - თბილისი-თიანეთი (შ-30), სიგრძით 60 კმ, რომელიც ეროვნული პარკის ცენტრალური ნაწილის მოსაზღვრედ გადის. საავტომობილო გადაადგილებისთვის ასევე მნიშვნელოვანია წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამიას ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტირებული გზა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზიდან აღმოსავლეთ-დასავლეთ ცენტრალურ მაგისტრალთან დაკავშირება. გარდა ამისა, ეროვნულ პარკს კვეთს სოფლის დამაკავშირებელი რამდენიმე გზა. გზების მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. საგზაო ინფრასტრუქტურაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეგზოგეოდინამიკური პროცესები, მათ შორის რამდენიმე მეწყრული უბანი აღინიშნება თბილისი-თიანეთის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები: ელექტროგადამცემი ხაზები, მიწისქვეშა წყლის გვირაბი, რომელიც ბულაჩაურის წყალსაცავიდან წყალს აწვდის თბილისის წყალსაცავს.

ეროვნული პარკის მომიჯნავე ყველა სოფელი ელექტროფიცირებულია, მათი დიდი ნაწილი ასევე გაზიფიცირებული. 2024 წლისთვის იგეგმება ზოგიერთი სოფლის გაზიფიცირება. სოფლების წყალმომარაგება ძირითადად მიწისქვეშა წყლებით ხდება. სოფლების ნაწილს წყალი მიეწოდება გრაფიკით.

პრობლემურია ნარჩენების მართვა, რაც გარემოზე ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. გზებზე მგზავრების გადაადგილების დროს ხშირია შემთხვევები მათ მიერ ტერიტორიის დაბინძურებისა. ასევე ტერიტორიაზე განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში ვიზიტორების მიერ ხდება ტერიტორიის დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. ადმინისტრაციას სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებული აქვს ნაგვის ურნები.

უშუალოდ შერჩეულ ლოკაციებზე და მის მიმდებარედ არსებული კომუნიკაციების შესახებ ინფორმაცია, დეტალურად მოცემულია პარგარაფ 4.1.-ში.

### 3.1.13 მომიჯნავედ არსებული დასახლებები

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დასახლებული ზონები განვითარებულია მდინარეების თეზამისა და გლდანულას სანაპიროებზე (სოფლები ცხვარიჭამია, კევლიანი, თეზამი, ბურიანი, ლელუბანი, მშრალხევი, მამკოდა) და ასევე მისი საზღვრების მომიჯნავე მთისწინა ზონაში. სამხრეთ-დასავლეთით დაცულ ტერიტორიას ემიჯნება ქ. თბილისის გარეუბნები. ცხრილში 3.1.13.1. წარმოდგენილია თბილისის ეროვნული პარკის მოსაზღვრე სოფლების ჩამონათვალი და ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით.

ცხრილში 3.1.13.1. დასახლებული პუნქტები და მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნება

| სოფელი | მოსახლეობის რაოდენობა | |
|---|---|---|
| | 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით | 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით |
| საგურამო | 1600 | 1921 |
| წიწამური | 144 | 124 |
| შანკევანი | 95 | 58 |
| კოტორაანთკარი | 60 | 50 |
| ბურიანი | 7 | 15 |
| ცხვარიჭამია | 75 | 57 |
| თეზამი | 51 | 24 |
| კევლიანი | 149 | 57 |
| ლელუბანი | 11 | 16 |
| მამკოდა | 31 | 91 |
| მშრალხევი | 11 | 14 |
| ღულელები | 357 | 260 |
| თოხოლჩა | 24 | 22 |
| მაგრანეთი | 374 | 224 |
| იკვლივგორანა | 18 | 13 |
| მარტყოფი | - | 7397 |
| საცხენისი | - | 432 |
| ნორიო | - | 3756 |

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს თბილისის ეროვნული პარკის მომიჯნავე დასახლებულ პუნქტებში დემოგრაფიული პირობების გაუარესება არ არის განსაკუთრებით მაღალი. ამის მთავარი მიზეზია ქ. თბილისთან სიახლოვე და შესაბამისად შემოსავლების წყაროებზე მეტ-ნაკლები ხელმისაწვდომობა, რაც ამცირებს მიგრაციას. ბოლო პერიოდში დასახლებულ პუნქტებში საგრძნობლად გაიზარდა საზაფხული სახლების (აგარაკების) მშენებლობა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის გააჩინა დასაქმების და ფინანსური შემოსავლების დამატებითი წყარო.

## 3.2 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის აღწერა

### 3.2.1 ტურიზმის განვითარების არსებული მიმართულებები

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ტურიზმის არსებული მიმართულებები დაკავშირებულია მთისა და ტყის ლანდშაფტების, მდიდარი ბიომრავალფეროვნების, ისტორიისა და კულტურის ერთობლიობასთან, რაც სხვადასხვა ინტერესის მქონე ვიზიტორებს იზიდავს. ეროვნული პარკის მარშრუტები ერთ და რამდენიმედღიანი მოგზაურობის და საპიკნიკე ადგილებით სარგებლობის საშუალებას იძლევა. ტერიტორიაზე

შესაძლებელია ლანდშაფტების დათვალიერება და ფოტოგრაფია, საგანმანათლებლო და კულტურული ტურების მოწყობა.

ეროვნულ პარკს აქვს საკმაოდ მაღალი პოტენციალი ვიზიტორებისა და თბილისის მაცხოვრებლებისთვის წარმოადგენდეს შაბათ-კვირის დასვენების და რეკრეაციის ერთ-ერთ პოპულარულ ადგილს. ეროვნულ პარკს აქვს კარგი ადგილმდებარეობა, მარტივად მიღწევადია თბილისიდან და მცხეთიდან, გამოირჩევა მიმზიდველი ხედებით, პარკის სიახლოვეს მდებარე ტურისტული ობიექტებით - ქ. მცხეთა, ჯვრის მონასტერი, ზედაზნის მონასტერი და სხვა.

ბოლო წლებში ამ მხრივ ძალზედ აქტუალურია საბადურის ტყის ლოკაცია, სოფ. ცხვარიჭამიასთან. ეს ადგილი ყველა სეზონზე ძალიან ლამაზია, თუმცა ზამთარში და შემოდგომაზე განსაკუთრებით მიმზიდველია თბილისის (და არა მარტო) მაცხოვრებლებისთვის. ლოკაციაზე არსებობს რამდენიმე საპიკნიკე ადგილი, მომწუსხველი პეიზაჟები ძალზედ აქტუალურია ფოტოგადაღებისთვის, განსაკუთრებით სსხვადასხვა სადღესასწაულო და სარიტუალო ღონისძიებების დროს.

თბილისის ეროვნული პარკის ვიზიტორთა რაოდენობა 2016-2017 წლებში 35-50 ათას ადამიანს შეადგენდა. 2018-2019 წლებში სტატისტიკური მონაცემი გაორმაგდა და 100 ათას ადამიანს მიაღწია. პანდემიის პერიოდში, შეზღუდვების პირობებში თბილისის მაცხოვრებელთა დიდი რაოდენობა რეკრეაციული მიზნით სწორედ ამ ტერიტორიას ანიჭებდა უპირატესობას.

პანდემიამ ასევე გარკვეული გავლენა იქონია ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების თანაფარდობაზე. ასე მაგალითად: თუ პანდემიამდე (2019 წლის მონაცემებით) ვიზიტორთა 87%-ს საქართველოს, ხოლო 13%-ს სხვა ქვეყნის მოქალაქეების წარმოადგენდა, 2022 წლის მონაცემებით, ეს თანაფარდობა ასე შეიცვალა: ადგილობრივი ვიზიტორები - 94%, უცხოელი ვიზიტორები - 6%.

სტატისტიკა ასევე აჩვენებს ვიზიტორთა სეზონურ გადანაწილებას. ყველაზე მეტი ადამიანი ეროვნულ პარკს ზაფხულის (ივლისი-აგვისტო) და ზამთრის თვეებში (დეკემბერი-იანვარი) სტუმრობს. ამ პერიოდებში ვიზიტორთა რაოდენობა 10-12 ათასს აჭარბებს. ყველაზე ცოტა სტუმარი გაზაფხულზე ფიქსირდება.

### 3.2.2 ისტორიულ-კულტურული ობიექტები, ძირითადი დაინტერესებული მხარეები, განვითარების პერსპექტივები

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ოთხ ლოკაციაზე, მოქმედი საეკლესიო და სამონასტრო კომპლექსების მიმდებარედ გამოყოფილია ისტორიულ-კულტურული ზონა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული პარკის დასავლეთ ნაწილი. მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგურამოს ქედზე მდებარეობს VIII საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი - ზედაზნის მონასტერი. მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის კატეგორია. სამონასტრო ნაგებობათაგან დღეისათვის შემორჩენილია ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა, კარიბჭე-სამრეკლო, გალავანი და ციხის სხვა ნაშთები. აქვე მდებარე ისტორიულ-კულტურული ზონაში წარმოდგენილია აგურის საყდარის ნაეკლესიარი და ქასურის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ასევე აღსანიშნავია მცხეთის ჯვრის მონასტერის (VI საუკუნე) სიახლოვე.

სოფ. მამკოდასთან უნდა აღინიშნოს მამკოდის სამონასტრო კომპლექსი და აქვე მდებარე ღვთისმშობლის ეკლესია. ისტორიულ-კულტურული ობიექტები წარმოდგენილია სოფ. ცხვარიჭამიას ფარგლებშიც. მათ შორის უნდა აღინიშნოს წმ. გიორგის ეკლესია, ამაღლების მამათა მონასტერი, დიდი საყდარი - „ამაღლების“ ეკლესია, პატარა საყდარი - „ღვთიშობლის“ ეკლესია.

ისტორიულ-კულტურული ობიექტები ასევე მრავლად გვხდება ეროვნული პარკის აღმოსავლეთით. უნდა აღინიშნოს IX-X საუკუნის კვირაცხოვლობის სახელობის ეკლესია იალნოს ქედზე. სოფ. მარტყოფთან წარმოდგენილია VII საუკუნოს ბორკილჯვრის წმ. გიორგის ეკლესია და XVIII საუკუნის თუშმალიშვილების ციხე-კოშკი. აქვეა ადრეული შუა საუკუნეების ანტონ მარტყოფელის სვეტი. სოფ. ნორიოში წარმოდგენილია XVII საუკუნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი და XVIII საუკუნის ციხე.

ისტორიულ-კულტურული ობიექტების სიმრავლიდან გამომდინარე თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე კულტურული და პილიგრიმული ტურიზმის განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივები არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ შედარებით მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები წამოდგენილია არსებული და პერსპექტიურლი ეკოტურისტული მარშრუტების სიახლოვეს და ამასთანავე ხელსაყრელია განლაგება საავტომობილო გზებთან მიმართებაში. შესაძლებელია შეთავაზებული იქნეს არსებული ისტორიული ობიექტების მონახულება და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის მიღება.

კულტურული და პილიგრიმული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის რეკომენდირებულია:

- მჭიდრო თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და საქართველოს საპატრიარქოსთან, განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიერ არსებული ისტორიულ-კულტურული ობიექტების რესტავრაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ისტორიულ-კულტურული ობიექტების სიახლოვეს ინფრასტრუქტურის (მათ შორის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის) განვითარების ხელშეწყობა (გზები, ბილიკები, მობილური კავშირგაბმულობის ანძები, ბილიკებზე საინფორმაციო დაფები და ა.შ.). ამ თვალსაზრისით მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, მობილური ქსელის ოპერატორებთან და სხვა;
- საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა, როგორც ისტორიულ-კულტურული ძეგლების პოპულარიზაციის, ასევე ვანდალიზმის პრევენციის მიზნით. შესაბამისი საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება და ვიზიტორთა ცენტრებში განთავსება;
- კულტურული ან რელიგიური ფესტივალების ორგანიზება. ფესტივალების ფარგლებში ვიზიტორთა ცენტრებში, სხვა არსებულ თუ პერსპექტიულ ტურისტულ ლოკაციებზე ან ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს ეკომუზეუმების მოწყობა. ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ადაპტირება ეკოტურიზმის სერვისებზე - ფესტივალების ფარგლებში ხელნაკეთი რელიგიური და საეკლესიო ნივთებისთვის გამოფენა-გაყიდვისთვის შესაბამისი სივრცეების მოწყობა;

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
- საქართველოს საპატრიარქო და ადგილობრივი სასულიერო პირები;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც პერსპექტიული ტურისტული მომსახურების მომწოდებლები;
- ტურისტები (მათ შორის მომლოცველები, მეცნიერები და ა.შ.).

### 3.2.3 ტურისტული და რეკრეაციული ობიექტები, განვითარების პერსპექტივები, არსებული მოსარგებლეები და სხვა დაინტერესებული მხარეები

ეროვნული პარკის მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ადგილებიდან აღსანიშნავია სოფ. ცხვარიჭამია, რომელიც ითვლება რეკრეაციულ-კლიმატურ საკურორტო ზონად, სასუნთქი ორგანოების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის. ამ მხრივ გარკვეული პერსპექტივები გააჩნია ეროვნული პარკის სხვა განაპირა დასახლებებს, როგორიცაა კოტორაანთკარი, ჭილაანთკარი, ღულელები და სხვა. აღნიშნულ დასახლებებში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა სააგარაკე ზონები.

ეროვნული პარკი ტურისტული ობიექტების (დიდი ზომის სასტუმროები, კვების ობიექტები, მუზეუმები და სხვა) სიმრავლით არ გამოირჩევა. ძირითადად განვითარებულია მცირე ზომის სასტუმრო კოტეჯები. ესეთი ობიექტები წარმოდგენილია თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზის მომიჯნავე დასახლებებში (ლელუბანი, ცხვარიჭამია და სხვა). ესეთი ობიექტები ვიზიტორებს სთავაზობს ერთდღიანი და რამდენიმედღიანი ღამის გათევის შესაძლებლობას. ვიზიტორების კვებით მომსახურება იშვიათად არის შემოთავაზებული.

ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტები განვითარებულია დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ და ასეთი ობიექტებიდან დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ფინანსურ-ეკონომიკური სარგებელი პრაქტიკულად არ არსებობს. საკუთრივ ადგილობრივი ბიზნესი კი, როგორიცაა სასტუმროები, რესტორნები და სხვა მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ დაცულ ტერიტორიებთან მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და კომერციული ურთიერთობის შედეგად მიღებული გაყიდვებით.

დაცული ტერიტორიების კონსერვაციისთვის საჭირო ხარჯების მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე მსოფლიოს არაერთი ქვეყანა მიმართავს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის სტრატეგიას, რაც ორმხრივი სარგებლის მომტანია. მათ შორის ხდება კერძო ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების განვითარება დაცული ტერიტორიების საზღვრებში, ლიცენზიის ან შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე. ესეთი მიდგომა საშუალებას აძლევს კერძო კომპანიებს განახორციელონ კომერციული ოპერაციები დაცულ ტერიტორიაზე, ხოლო დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციამ მიიღოს პირდაპირი ფინანსური სარგებელი ბიზნესიდან.

შემოთავაზებულია, რომ ტურისტული და რეკრეაციული ობიექტების შემდგომი განვითარება მოხდეს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, თბილისის ეროვნული პარკის საზღვრებში, გარდა მკაცრი დაცვის ზონებისა. თუმცა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კავშირი კერძო ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების შემოსავალსა და დაცული ტერიტორიის კონსერვაციას შორის იყოს ძალიან მჭიდრო. აღსანიშნავია, რომ სათანადო დაგეგმარების და მენეჯმენტის პირობებში მსგავსი საიჯარო ხელშეკრულებები ხელს უწყობს კერძო სექტორის მოთხოვნების დაბალანსებას დაცულ ტერიტორიებზე განვითარებისთვის და შეზღუდული რაოდენობის კონტროლირებად ბიზნეს-საქმიანობას.

კერძო სექტორთან თანამშრომლობით ტურისტული და რეკრეაციული ობიექტების განვითარება შესაძლებელია როგორც ტურისტებისთვის ტრადიციულ და პოპულარულ ლოკაციებზე (ცხვარიჭამია და ეროვნული პარკის დასავლეთ ნაწილის ცალკეული ლოკაციები), ასევე აღმოსავლეთ პერიფერიულ ადგილებში, რომელთა ცნობადობა დაბალია, თუმცა ეროვნულ პარკში არსებული და დაგეგმილი ტურისტული ინფრასტრუქტურა (მაგ. ტურისტული ბილიკების ქსელი) სასარგებლო განლაგებაში იმყოფებიან მათთან. ახალი ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების შესახებ შემოთავაზებები აღწერილია წინამდებარე დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილში (პარაგრაფი 4).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;

- თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- კერძო ბიზნესი;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი მოსახლეობა;
- ტურისტები.

### 3.2.4 ტრადიციული საქმიანობებით და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალი, განვითარების პერსპექტივები, დაინტერესებული მხარეები

თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლების შემოსავლები გარკვეულწილად უკავშირდება დაცული ტერიტორიის საზღვრებში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას.

როგორც აღინიშნა ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაშვებულია ზოგიერთი განახლებადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა. მათ შორის ხდება ადგილობრივი თემების უზუნველყოფა საშეშე მერქნით. თუმცა ბოლო პერიოდში საშეშე მექრნით სარგებლობის პრაქტიკა შემცირებულია, ვინაიდან ინტენსიურად მიმდინარეობს მიმდებარე სოფლების გაზიფიცირება. საშეშე მერქნით სარგებლობა შედარებით მაღალია ეროვნული პარკის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული დასახლებულ პუნქტებში.

აქტუალურია ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვების პრაქტიკა. მათ შორის: კაკალი, კენკრა, სოკო და სხვა საკვები მცენარეების ნაყოფი. აგრეთვე ეროვნულ პარკში არსებული წყაროებიდან წყლის რესურსებით სარგებლობა. აღნიშნულის გარდა ტრადიციული საქმიანობებიდან უნდა აღინიშნოს ხელნაკეთი ნივთების დამზადება-რეალიზაცია, მცენარეული მედიცინა და ა.შ.

ტრადიციული საქმიანობების პოპულარიზაციისა და ამავე დროს ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალის ზრდისთვის მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მოსახლეობასთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან. შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოება და მოსახლეობის დატრენინგება. შესაძლებელია ზოგიერთი ტრადიციული საქმიანობის ეკოტურისტული სერვისის სახით ვიზიტორებისთვის შეთავაზება (ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება, ტურების დაგეგმვა ტყის არამერქნული რესურსების შეგროვების მიზნით და ა.შ.).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:
- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი ბიზნესი;
- ადგილობრივი მოსახლეობა და ფერმერები;
- ტურისტები.

### 3.2.5 ეკოსისტემური სერვისები, დაინტერესებული მხარეები და განვითარების პერსპექტივები

თბილისის ეროვნული პარკი თავისი განლაგებით და უნიკალური ბუნებრივ-ლანდშაფტური კომპონენტების წყალობით ეკოსისტემური სერვისების მნიშვნელოვან მომწოდებელს წარმოადგენს. აქ იგულისხმება მოსახლეობისთვის (მათ შორის ქ. თბილისის მოსახლეობისთვის) ეკოსისტემის როგორც პირდაპირი პროდუქტების (მაგ. საკვები, წყალი და სხვა) მიწოდება, ასევე მარეგულირებელი, კულტურული და სხვა დამხმარე სერვისების შეთავაზება.

მნიშვნელოვან ფართობზე წარმოდგენილი ტყის მასივები ეროზიისა და წყალდიდობის კონტროლს უზრუნველყოფს, ხდება კლიმატური და მიკროკლიმატური პირობების რეგულირება, წყლის ბუნებრივი გაწმენდა და ა.შ.

კლიმატურ-ლანდშაფტური თავისებურებები და ბიომრავალფეროვნების კომპონენტები არამატერიალური, კერძოდ კულტურული მომსახურების მიწოდების შესაძლებლობასაც ქმნის, რაც გამოიხატება რეკრეაციულ, შემეცნებით, ესთეტიკურ და სულიერ საქმიანობაში. თბილისის ეროვნული პარკი არაერთი სამეცნიერო ნაშრომის საკვლევ ბაზას წარმოადგენდა და დღეის მდგომარეობითაც სამეცნიერო კვლევების (მათ შორის განსაკუთრებით ზოოლოგიური და ბოტანიკური მიმართულებით) ჩატარების დიდი პოტენციალი გააჩნია. აქ არსებული ეკოსისტემების მრავალფეროვნება არამარტო ადგილობრივ, არამედ ეროვნულ და გლობალურ კულტურაშიც კი ბუნებასთან ურთიერთქმედებით დაბადებული კრეატიულობის (მუსიკა, ხელოვნება, არქიტექტურა) წყარო შეიძლება გახდეს.

ეკოსისტემური სერვისების განვითარების შესაძლებლობა პირდაპირ კავშირშია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, ვიზიტორებში და მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებასთან, ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობასთან; ტრადიციული საქმიანობების ხელშეწყობასთან და ა.შ. თუმცა ეს ყველაფერი აუცილებელია მოხდეს კონსერვაციის პრინციპების საერთაშორისო სტანდარტებით დაცვით.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- მოსახლეობა (არამარტო ადგილობრივი);
- ტურისტები და სხვა.

### 3.2.6 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივები

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ეკოტურიზმის არსებული მიმართულებები დაკავშირებულია ველური ბუნების, ტყის ლანდშაფტების, მდიდარი ბიომრავალფეროვნების, ისტორიისა და კულტურის ერთობლიობასთან, რაც იზიდავს სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორებს.

ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გაძლიერება შესაძლებელია არსებული ეკოტურისტული ლოკაციების შენარჩუნება-განვითარების პარალელურად, ახალი ობიექტების მოწყობის გზით. ბოლო პერიოდის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ასეთი ეკოტურისტული ობიექტების მოწყობა დაცული ტერიტორიების საზღვრებშიც ხდება, გარდა მკაცრი დაცვის ზონებისა. რეკომენდირებულია განვითარება მოხდეს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, თუმცა დაცული ტერიტორიების კონსერვაციის პრინციპების მაქსიმალური დაცვით. ესეთი მიდგომა ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის ფულადი შემოსავლების პირდაპირ ზრდას, რაც ისევ დაცული ტერიტორიის კონსერვაციისკენ იქნება მიმართული.

თბილისის ეროვნული პარკის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების რეკომენდაციები მოცემულია პარაგრაფში 4.

## 3.3 დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის შედეგები

შეხვედრები გაიმართა როგორც თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან (სოფლები ღულელები, მამკოდა, ცხვარიჭამია). ასევე გასაუბრება შედგა ადგილობრივ (მამკოდის მამათა მონასტერი) სასულიერო პირებთან.



თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან შეხვედრების დროს ადმინისტრაციას მიეწოდა წინასწარი ინფორმაცია საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმის პროექტის მიზნებისა და ამოცანების, დაგეგმილი აქტივობების და სამომავლო საჯარო განხილვების შესახებ. თავის მხრივ ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდება და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ ხედვის გაზიარება.

მიზნობრივი შეხვედრა გაიმართა რეინჯერებთან. შეხვედრის დროს გაანალიზებული იქნა არსებული კარტოგრაფიული მასალა, წარსული გამოცდილება და იდეები. მათი დახმარებით მოხდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის პერსპექტიული ადგილების მონახულება და არსებული მდგომარეობის შეფასება.

საველე ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი პრობლემები და მათი მოლოდინები. მოსახლეობისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ზოგიერთ დასახლებაში გაზიფიკაციის არ არსებობა, წყლის გრაფიკით მიწოდება. ადგილობრივ მაცხოვრებლებს აქვთ მოლოდინები და სურვილი განავითარონ ე.წ. საოჯახო სასტუმროები, თუმცა ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო ეს ვერ ხერხდება.

ადგილობრივი მოსახლეობა ზოგადად თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების წინააღმდეგი არ არის, თუმცა ამ ეტაპზე არ აქვთ ჩამოყალიბებული მკაფიო ხედვა მათ რა პირდაპირი სარგებელი შეიძლება მოუტანოს მსგავსი პროექტების განხორციელებამ. მათი აზრით, ტერიტორიაზე შემოსული ბიზნესი პირველ რიგში იფიქრებს საკუთარ ფინანსურ მოგებაზე და თუ რამდენად გაითვალისწინებს ადგილობრივ კონტექსტს, მათთვის ამ მომენტისთვის ბუნდოვანია. ზოგიერთი გამოკითხულის აზრით ხეობებში ინვესტიციების განხორციელებამ შეიძლება გაზარდოს კონკურენცია და გამოიწვიოს ადგილობრივი მცირე მეწარმეების საქმიანობის (მცირე ზომის სასტუმროები და ა.შ.) შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, მსგავსი პროექტების დაგეგმვა-განივთარების წინა ეტაპებზე აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ჯგუფებთან მიზნობრივი საჯარო განხილვების ჩატარება, კონკრეტული ხედვების წარდგენა, მოსახლეობის აზრის მოსმენა და გათვალისწინება.




მოსახლეობასთან დისკუსიები გაიმართა ტურისტებისთვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზების (მაგ. სატრანსპორტო მომსახურება, სხვადასხვა ინვენტარის გაქირავება-გაყიდვა და ა.შ.) და ადგილობრივი ნატურალური ნაწარმის გაყიდვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. მათი თქმით ამ ეტაპზე მსგავსი სერვისების ტურისტებისთვის შეთავაზების პერსპექტივა მინიმალურია და ამ მხრივ ფინანსური სარგებლის მიღების ნაკლები მოლოდინები არსებობს. თუმცა პერსპექტივაში ტურისტული ინფრასტრუქტურის

განვითარების და ვიზიტორთა დამატებითი ნაკადების მოზიდვის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილობრივებს ჰქონდეთ ამ მხრივ მეტი დაინტერესება. ეს საკითხიც სამომავლოდ დეტალური დისკუსიის საგანია.

გამოკითხული სასულიერო პირები ზოგადად არ არიან წინააღმდეგნი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების და ვიზიტორთა დამატებითი ნაკადების მოზიდვის. ისინი მიესალმებიან ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ეკოტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარებას და ამ მხრივ შესაძლებელია აქცენტი გაკეთდეს ე.წ. პილიგრიმული ტურების შეთავაზებაზე. თუმცა მათი აზრით მსგავსი პროექტები უნდა განხორციელდეს გარკვეული პირობების დაკმაყოფილებით. მათ შორის მნიშვნელოვანია, რომ ტურისტულმა ობიექტებმა დააკმაყოფილონ გარემოსდაცვითი მოთხოვნები, არ მოხდეს ადგილობრივ ეკოსისტემაში ზედმეტი ჩარევა და რაც მთავარია ხელი არ შეეშალოს სასულიერო პირების ტრადიციული ცხოვრების წესს და რელიგიურ რიტუალებს. აუცილებელ გასათვალისწინებელ პირობას წარმოადგენს, რომ მსგავსი სამომავლო პროექტები არ უნდა ითვალისწინებდეს ისეთი ინფრასტრუქტურის განვითარებას და სერვისების შეთავაზებას, რაც ეწინააღმდეგება ადგილობრივ ადათ-წესებს და რელიგიას.



თბილისის ეროვნული პარკის ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 3.3.1.

ცხრილი 3.3.1. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია

| N | თარიღი | აქტივობა |
|---|---|---|
| 1. | 21.10.2022 | 2022 წლის 21 ოქტომბერს გაიმართა პირველი საინფორმაციო შეხვედრა თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან საგურამოს ადმინისტრაციის ცენტრში, ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის გენერალური გეგმების შემუშავების პროცესისა და სამოქმედო გეგმის განსახილველად. |
| 2. | 25.10.2022 | 2022 წლის 25 ოქტომბერს საპროექტო ჯგუფი თბილისის ეროვნული პარკის თანამშრომლებთან ერთად ესტუმრა და ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები მამაკოდა - საბადურის ტყის მიმართულებით. |
| 3. | 15.10.2022 | 2022 წლის 28 ოქტომბერს საპროექტო ჯგუფი თბილისის ეროვნული პარკის თანამშრომლებთან ერთად ესტუმრა და ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები ზედაზენის მიმართულებით. |
| 4. | 04.11.2022 | 2022 წლის 4 ნოემბერს საპროექტო ჯგუფი კიდევ ერთხელ ესტუმრა თბილისის ეროვნული პარკის პოტენციურ ლოკაციებს მამკოდა - საბადურის ტყის მიმართულებით. |
| 5. | 04.11.2023 | 2022 წლის 4 ნოემბერს საპროექტო ჯგუფმა შეხვედრა გამართა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის მამკოდის მამათა მონასტრის ხელმძღვანელთან, სვიმონ სოხაძესთან. |
| 6. | 04.11.2022 | 2022 წლის 4 ნოემბერს ჯგუფმა გამოკითხა ადგილობრივები, მათ შორის ცხვარიჭამიასა და ღულელებში, რათა დაედგინა მათი საჭიროებები და ამასთანავე, მოესმინა მათი აზრი აღნიშნული ტერიტორიის ეკოტურისტული განვითარების მიმართულებით. |

# 4 სარეკომენდაციო ნაწილი - პერსპექტიული (საპროექტო) ეკოტურისტული ლოკაციები

## 4.1 საპროექტო არეალის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია

წინამდებარე დოკუმენტის მომზადების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიის საზღვრებში ეკოტურისტული თვალსაზრისით საინვესტიციოდ მიმზიდველი ლოკაციების (სამიზნე ტერიტორიების) იდენტიფიცირება, მათი განვითარების კონცეფციის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, ასევე საბაზისო (კომპლექსური) ტურისტულ-რეკრეაციული და ამავე დროს თბილისის ეროვნული პარკის ეფექტურად მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფციის შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული ლოკაციების ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იყოს შშმ პირებზე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს შშმ პირების კომფორტული გადაადგილება ყველა ზონაში და აქ გათვალისწინებულ სერვისებზე წვდომა მნიშვნელოვანი სირთულეების გარეშე.

პერსპექტიული (საპროექტო) ლოკაციების მონიშვნა განხორციელდა წინასწარ, საოფისე სამუშაოების პროცესში, დაინტერესებულ მხარეებთან (მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება, თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები და სხვა) კომუნიკაციის საფუძველზე. შემდგომში, საველე სამუშაოების საფუძველზე მოხდა აღნიშნული ტერიტორიების პერსპექტიულობის შეფასება, სხვადასხვა გარემო ფაქტორების გათვალისწინებით.

## 4.2 შეთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციები

თბილისის ეროვნული პარკის ფარგლებში ეკოტურიზმის განვითარების მიზნით საინვესტიციოდ ხელსაყრელი ტერიტორიების მოძიება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის მთავარი მიზეზია სივრცითი დაგეგმარებისთვის აუცილებელი ფართობის მქონე მიწის რესურსების სიმცირე, მათ შორის რელიეფის და ტყით მჭიდროდ დაფარულობის გამო. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებად ჩაითვალა ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკური პირობები, გარემოსდაცვითი და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების რისკები, არსებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან, ვიზიტორებისთვის საინტერესო ლოკაციებთან და ღირშესანიშნაობებთან ხელსაყრელი განლაგება და ა.შ.

სამიზნე ტერიტორიების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმების აღწერა მოცემულია ცხრილში 4.2.1. ხაზგასასმელია, რომ ცხრილში მოცემული კრიტერიუმები წარმოდგენილია ზოგადი შეფასების და საველე რეკოგნოსცირებითი სამუშაოების საფუძველზე.

ცხრილი 4.2.1. სამიზნე ტერიტორიების შერჩევის კრიტერიუმები

| კრიტერიუმი | კრიტერიუმის დახასიათება |
|---|---|
| სამიზნე ტერიტორიის ადგილმდებარეობა და განლაგება: | • ლოკაცია, რომელიც მოქცეულია დაცული ტერიტორიების საზღვრებში, თუმცა არ მოიცავს მკაცრი დაცვის ზონას;<br>• ლოკაცია, რომელიც განლაგებულია დაცული ტერიტორიების შეძლებისდაგვარად ცენტრალურ ნაწილში და საიდანაც მეტ-ნაკლებად თანაბრად არის ხელმისაწვდომი პერიფერიულ ნაწილებში არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობები;<br>• არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურასთან, არსებულ და პოტენციურ ბილიკებთან ხელსაყრელი განლაგება;<br>• ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ხელსაყრელი განლაგება;<br>• მომიჯნავე სხვა რეკრეაციულ და საკურორტო ადგილებთან ხელსაყრელი განლაგება;<br>• წყლის რესურსებზე და ელექტროენერგიაზე მეტ-ნაკლები ხელმისაწვდომობა; |


| | |
|---|---|
| | • დასახლებულ პუნქტებთან ხელსაყრელი განლაგება. |
| რელიეფი და ფართობი | • საჭირო ფართობი სივრცითი განვითარებისთვის;<br>• მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი რელიეფი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მინიმალური სირთულეები მშენებლობასთან დაკავშირებით; |
| ბუნებრივი გარემოს სპეციფიკა | • მეტ-ნაკლებად მდგრადი საინჟინრო-გეოლოგიური პირობები. მეწყრული, ეროზიული, ღვარცოფული პროცესების გათვალისწინება;<br>• მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები;<br>• შეძლებისდაგვარად მინიმალური ჩარევა ადგილობრივ გეოლოგიაში. პერსპექტივაში სივრცითი განვითარების შედეგად გეოლოგიურ მდგრადობაზე მინიმალური ზემოქმედება. |
| ეკოლოგია და გარემოსდაცვითი რისკები | • მინიმალური ჩარევა ადგილობრივ ეკოსისტემაში, მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ჰაბიტატების და განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული გარეულ ცხოველთა საბინადრო ადგილების მაქსიმალური შენარჩუნება;<br>• აუცილებელი ბუნებრივი რესურსების სიახლოვე და ამასთან ერთად ბუნებრივი რესურსების გამოყენების მინიმალური საჭიროება;<br>• დამატებითი ინფრასტრუქტურის (მაგ. მისასვლელი გზები და ა.შ.) განვითარების ნაკლები საჭიროება;<br>• ხანძრების განვითარების ნაკლები რისკები;<br>• ხელსაყრელი გარემოება ნარჩენების მდგრადი მართვის თვალსაზრისით;<br>• ხელსაყრელი პირობები წყალმომარაგება-წყალარინების მხრივ და ა.შ. |
| ადგილობრივი თემები | • მინიმალური გავლენა კერძო საკუთრებაზე და გარეშე ინვესტორების მინიმალური კონკურენცია ადგილობრივ თემებთან;<br>• დასახლებულ პუნქტებთან ხელსაყრელი განლაგება და მომიჯნავედ მაცხოვრებელი ადგილობრივებისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღების (საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია, კვების და მცირე ზომის სასტუმროების განვითარება და ა.შ.) თანაბარი შესაძლებლობა;<br>• ინფრასტრუქტურული განვითარების ისეთი შესაძლებლობა, რომელიც მაქსიმალურად შეხამებული იქნება რეგიონის ისტორიულ-კულტურულ სპეციფიკურობასთან და ტრადიციებთან. |
| საინვესტიციო მიმზიდველობა | • მრავალფეროვანი ეკოტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობა;<br>• ინტერესთა მინიმალური კონფლიქტი კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის;<br>• ადამიანურ და სხვა სახის რესურსებზე ხელმისაწვდომობა;<br>• ტურისტულად აქტიური სეზონის მაქსიმალური ხანგრძლივობა. |

ცხრილში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, საოფისე და საველე სამუშაოების საფუძველზე გამოვლენილი იქნა სამი ალტერნატიული ტერიტორია პერსპექტივაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის:

- ალტერნატივა 1 – „მამკოდის ეკოტურისტული ლოკაცია“;
- ალტერნატივა 2 – „საბადურის ეკოტურისტული ლოკაცია“;
- ალტერნატივა 3 – „ზედაზენის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია“.

შემოთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციების ადგილმდებარეობები ნაჩვენებია ნახაზზე 4.2.1.

ნახაზი 4.2.1. შემოთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციების განლაგება



### 4.2.1 ალტერნატივა 1 – „მამკოდის ეკოტურისტული ლოკაცია“

#### 4.2.1.1 ადგილმდებარეობის აღწერა

**ადგილმდებარეობა და ფართობი:** მცხეთის მუნიციპალიტეტი, ცხვარიჭამიას თემი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 488926; Y – 4630859; Z – 700-820.


პირველი ალტერნატიული, მამკოდას ეკოტურისტული ლოკაცია მდებარეობს თბილისის ეროვნული პარკის სამხრეთ ნაწილში, მდ. გლდანულას მარცხენა სანაპიროზე. ტერიტორია წარმოადგენს ვიზიტორთა ზონას. დასავლეთით გადის თბილისი-თიანეთის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა, საიდანაც ტერიტორიაზე შემოდის გრუნტის გზა, რომელიც ადის მამკოდის მამათა მონასტერთან. შერჩეული ლოკაციიდან მამკოდის მამათა მონასტერი დაშორებულია 0,5-1,0 კმ მანძილით. ტერიტორია ახლოს მდებარეობს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვართან.



პერსპექტიული ტურისტული ლოკაციის საერთო ფართობი 27 ჰა-ს აღწევს. ადგილობრივი რელიეფის და მცერნარეული საფარის დაფარულობის დაბალი სიხშირის გათვალისწინებით ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელია ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე.

**რელიეფი და გეოლოგიური პირობები:** ტერიტორიაზე წარმოდგენილია ტიპიური მთისწინეთის ეროზიულ-აკუმულაციური და ასევე ტექნოგენური რელიეფი. ტერიტორიის ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი შედარებით ამაღლებულია, სამხრეთი და სამხრეთ დასავლეთით ტერიტორიის აბსოლუტური ნიშნულები იკლებს. თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიდან აღსანიშნავია აკუმულაცია, ფართობითი ეროზია და გამოფიტვა. აქტიური მეწყრული უბნები არ არის წარმოდგენილი.

**ჰაბიტატები და მცენარეული საფარი:** შემოთავაზებული ტურისტული ლოკაცია სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობს წარმოადგენს, სადაც განვითარებულია ყომრალი მცირე და საშუალო სისქის თიხიანი ნიადაგები. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გადარეცხვის და გამოფიტვითი პროცესების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. გარდა ამისა, ჰაბიტატების მდგომარეობაზე თავის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შესამჩნევი ანთროპოგენური ფაქტორები. ლოკაციაზე განვითარებულია ხელოვნურად გაშენებული მეჩხერი ტყის საფარი (ხე-მცენარეული საფარის დაფარულობა უმეტესწილად 20-30%-ს არ აღემატება), რომელსაც მოზაიკურად ენაცვლება მდელოს ტიპის ჰაბიტატები. წარმოდგენილია ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობები, მათ შორის: იფანი, ფიჭვი. განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული მცენარეთა სახეობების გავრცელება არ აღინიშნება. ქვეტყეში ჩნდება უფრო სიმშრალის ამტანი ბალახოვანი და ბუჩქოვანი სახეობები. თავისი სახეობრივი შემადგენლობიდან და ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე ლოკაციაზე წარმოდგენილი ჰაბიტატები რეზოლუცია #4-ის ჰაბიტატების რომელიმე ტიპს ვერ მივაკუთვნებთ. ჰაბიტატები საკმაოდ სახეცვლილია და არ განეკუთვნება მაღალი საკონსერვაციო სტატუსის მქონე ჰაბიტატებს.



**ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები:** ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ცხოველთა მნიშვნელოვანი სახეობების კონცენტრაციის ან მათი მუდმივი საბინადრო

ადგილები არ დაფიქსირებულა. ანთროპოგენური დატვირთვა (მათ შორის საავტომობილო გზის სიახლოვე, მდ. გლდანულას ნაპირებზე არსებული სხვადასხვა პროფილის საწარმოო ობიექტები და ა.შ.) განაპირობებს ტერიტორიაზე ეროვნული პარკისთვის დამახასიათებელი მაღალი ღირებულების ცხოველთა სახეობების მოხვედრის დაბალ ალბათობას. ტერიტორია ნაკლებად მიმზიდველია ტყის ჰაბიტატებისთვის დამახასიათებელი ისეთი სახეობებისთვის, როგორიცაა მგელი, შველი, დათვი, ფოცხვერი და ა.შ. მეტად მაღალია ტერიტორიაზე შემოვიდეს საშუალო ზომის ძუძუმწოვრები, როგორიცაა მელა, ტურა და სხვა. თუმცა ამ სახეობების ცხოველქმედებისთვის შეუცვლელ ჰაბიტატს არ წარმოადგენს. ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხელფრთიანების კოლონიების არსებობისთვის ხელსაყრელი ადგილები (გამოქვაბულები, მსხვილვარჯოვანი ფუღუროიანი ხეები და სხვა) არ დაფიქსირებულა.

**არსებული კომუნიკაციები:** შერჩეული ალტერნატიულ ტერიტორიაზე ხელსაყრელი გარემოებაა კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება და სხვა) განვითარების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის სიახლოვეს გადადის სხვადასხვა ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, უახლოესი დასახლებები გაზიფიცირებულია. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში. საერთო ჯამში აღნიშნული ალტერნატიული ლოკაციისთვის კომუნიკაციების განვითარების პერსპექტიულობა ერთ-ერთ უპირატესობად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

**ტურისტული ფონი:** განსახილველი ალტერნატიული ლოკაცია ეროვნული პარკის სხვა ცნობილ ეკოტურისტულ ადგილებთან შედარებით არ არის განსაკუთრებით დატვირთული. თუმცა აღსანიშნავია მისი ხელსაყრელი განლაგება თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზასთან და ასევე მამკოდა-ნორიოს ეკოტურისტულ ბილიკთან. შესაბამისად დღეისათვის ეროვნული პარკის ღირშესანიშნაობებით დაინტერესებულ ვიზიტორები დიდწილად აღნიშნული ლოკაციის გავლით გადაადგილდებიან. პერსპექტივაში ეს ლოკაცია შესაძლებელია მიმზიდველი გახდეს სხვადასხვა ინტერესის მქონე ვიზიტორებისთვის, როგორც კომფორტის მოყვარული, ასევე ლაშქრობისთ და ექსტრემით დაინტერესებული ტურისტებისთვის, წელიწადის ოთხივე სეზონზე.

#### 4.2.1.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის მთავარი ეკოტურისტული ღირებულებაა მისი ადგილმდებარეობა - ხელსაყრელია საბაზისო ტურისტული ცენტრის განვითარებისთვის, საიდანაც ერთის მხრივ მეტ-ნაკლებად თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი ეროვნული პარკის ფარგლებში არსებული და პერსპექტიული ეკოტურისტული სერვისები, ხოლო მეორეს მხრივ ახლოს მდებარეობს ქ. თბილისთან, რომელიც ქვეყნის უდიდეს ტურისტულ ბაზარს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია მისასვლელი გზის არსებობა და ხელსაყრელი გარემოება კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება და სხვა) განვითარების თვალსაზრისით.

ტერიტორიის ფართობი და რელიეფი საშუალებას იძლევა განვითარდეს მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსი, გათვალისწინებული იქნას მრავალი ალტერნატიული ვარიანტი. უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორია წარმოადგენს სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობს, ნაკლებად მკაცრი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობებით.

შერჩეული ტერიტორია ვიზიტორთა ზონას წარმოადგენს და საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონებიდან. წარმოდგენილია შედარებით დაბალი ღირებულების ბიომრავალფეროვნება. შესაბამისად ბიოლოგიურ გარემოზე (მათ შორის მცენარეულ საფარზე და ცხოველა სამყაროზე) ზემოქმედების რისკები დაბალია. მამკოდის მამათა მონასტრის სიახლოვის გამო არსებობს პილიგრიმული და კულტურული ტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორების მოზიდვის დამატებითი შესაძლებლობა.

ეს ტერიტორია არ წარმოადგენს ბუნებრივი რესურსებით (მაგ. საძოვრები და სხვა) ტრადიციულ სარგებლობის არეალს. შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არის დაბალი.

ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ძირითადი გასათვალისწინებელი საკითხებია: მამკოდის მამათა მონასტრის სიახლოვის გამო შეზღუდვა მრავალფეროვანი ტურისტული სერვისების შეთავაზების მხრივ, ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ სასულიერო პირებს შორის; რელიგიური რიტუალების ხელშეშლის რისკები; მიმდებარედ (მდინარის სანაპირო ზოლში) სხვადასხვა პროფილის სამრეწველო ობიექტების არსებობა და მათ მიერ გამოწვეული ზემოქმედება (ხმაური, ემისიები ატმოსფერულ ჰაერში და ა.შ.). ასევე აუცილებელი გასათვალისწინებელი საკითხია საინჟინრო-გეოლოგიური გარემო, რაც შემდგომი საფუძლიანი კვლევის საგანი უნდა გახდეს.

#### 4.2.1.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ხელსაყრელი ადგილმდებარეობიდან, რელიეფური პირობებიდან და ლანდშაფტური მდგომარეობიდან გამომდინარე მამკოდას ლოკაცია მიმზიდველი ადგილია ტურისტული ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით. არსებული სივრცე მრავალმხრივი საინვესტიციო განვითარების საშუალებას იძლევა. ტერიტორიის ფარგლებში, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. საავტომობილო გზის არსებობა და ქ. თბილისთან სიახლოვე ხელშემწყობია საბაზისო ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარებისთვის.

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ძირითადი ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ რუკაზე ქვემოთ):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 1.7 ჰა;
- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 14.5 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 1.0 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 9.9 ჰა.

<u>ადმინისტრაციული ზონა</u> - ვიზიტორთა ცენტრი/ადმინისტრაცია, შერჩეული ტერიტორიის დაახლოებით 6,2 %, რომელიც მდებარეობს ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში. აღნიშნულ ზონაში გათვალისწინებულია:

- ვიზიტორთა ცენტრი,
- რეინჯერების ქოხი,
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის განკუთვნილი სავაჭრო სივრცეები;
- ტერიტორია, ეკოტურისტული სერვისებისთვის (მაგ: ცხენების გაქირავება და სხვა)
- საინფორმაციო სტენდი.

<u>სამშენებლო ზონა</u> - ვრცელდება ტერიტორიის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით 54 %-ზე. შერჩეული ზონის ფარგლებში ნაკლებად არის გავრცელებული ხე-მცენარეები, ვიზუალური შეფასებით ნაკლებია გეოდინამიკური საფრთხეების გავლენა ტერიტორიებზე, შერჩეული ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- სასტუმროს კომპლექსი;
- მოზაიკურად განლაგებული მცირე ზომის კოტეჯები;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, ზიპლაინი და ა.შ.).

<u>სატრანსპორტო ზონა</u> - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 3,6 %-ს და შეირჩა ძირითადად არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის

გათვალისწინებით, სადაც ნაკლები იქნება ზემოქმედება ხე-მცენარეებზე, ადგილი ექნება ჰაბიტატის მინიმალურ ფრაგმენტაცის. სატრანსპორტო ზონა ვრცელდება ტერიტორიის ყველა მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს შერჩეული ლოკაციის, თითქმის ყველა ზონამდე, ხელსაყრელ გადაადგილებას.

აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს:


- საგზაო ინფრასტრუქტურა;
- ველო ბილიკები;
- საპარკინგე სივრცეები.


<u>რეკრეაციული ზონა</u> - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 36,6 %, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ადგილები, როგორიც არის ტყით შედარებით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის ძირითადი ნაწილი გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს:

- საკემპინგე სივრცეები;
- საბავშვო გასართობი სივრცეები;
- საკვები სივრცეები;
- ტურისტული თავშესაფრები;
- ზიპლაინის, გადასახედების ან მსგავსი ტიპის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.1.3.1.

ნახაზი 4.2.1.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია






#### 4.2.1.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

მამკოდას ტურისტულ ლოკაციასთან დაკავშირებული, შემოთავაზებული ძირითადი ეკოტურისტული მარშრუტებია:

<u>1. მამკოდის ლოკაცია-მამკოდის მონასტერი</u>

მარშრუტის მიახლოებითი სიგრძე - ≈4,5 კმ. სირთულე - მარტივი. საბაზისო პუნქტიდან (მამკოდის ტურისტული ლოკაცია) მარშრუტი მიემართება აღმოსავლეთით. ლოკაციის მიმდებარედ შემოთავაზებულია სასტუმრო კომპლექსის და სხვადასხვა ეკოტურისტული სერვისების (ველობილიკი, ზიპლაინი) განვითარება. ამის შემდგომ მარშრუტი ადის მამკოდის მამათა მონასტერთან. მონასტრიდან აღმოსავლეთით, ქედის თხემურ ნაწილზე შემოთავაზებულია საფეხმავლო ბილიკი, რომელიც სრულდება პერსპექტიულ საკემპინგე ადგილთან. შესაძლებელია საფეხმავლო, საცხენოსნო და ველო ტურების მოწყობა. ტურის მიახლოებითი ხანგრძლივობა - 1 დღე.

აღნიშნულ მარშრუტზე არსებული და პერსპექტიული ღირშესანიშნაობებია:

შესაძლებელია ველობოლიკი გაგრძელდეს მამკოდის მამათა მონასტერამდე, ასევე განვითარდეს ექსტრემალური ველოტრასა. შესაძლებელია ველოსიპედების გაქირავების სერვისის შეთავაზება.

ლოკაციიდან 1,0-2,0 კმ მანძილის დაშორებით შემოთავაზებულია ე.წ. „ზიპ-ლაინი“-ს სადგურის მოწყობა. ამისთვის პერსპექტიულ ადგილად განიხილება მამკოდის მამათა მონასტერისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მომიჯნავე ტერიტორია. დაშვების ადგილი შეიძლება იყოს მამკოდის ეკოტურისტული ლოკაცია. აქვე, წარმოდგენილია დამაკმაყოფილებელი რელიეფის მქონე და კონსერვაციული თვალსაზრისით ნაკლებად ღირებული ტერიტორია (დაახლოებით 8 ჰა), რომელიც შეიძლება მიმზიდველი გახდეს

კოტეჯების ან სხვა ალტერნატიული სასტუმრო ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ. ამ ადგილის მიახლოებითი კოორდინატებია: X – 490132; Y – 4630307.

მარშრუტის ბოლო პუნქტში (მამკოდის მამათა მონასტერი) ვიზიტორთათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს აქ არსებული ისტორიული და არქეოლოგიური ობიექტები: ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის ეკლესიები, სამრეკლო, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობებისა და გალავნის ფრაგმენტები. შესაძლებელია პილიგრიმული ტურების შეთავაზება.

2. მამკოდის ლოკაცია-ნორიო-იალნოს ქედი

ეს ტურისტული მარშრუტი შესაძლებელია შეთავაზებული იყოს იმ ვიზიტორებისთვის, რომელიც უფრო ხანგრძლივი და ექსტრემალური ტურებით არის დაინტერესებული. თავდაპირველი, დაახლოებით 4,5 კმ-იანი მონაკვეთი იმეორებს წინა მარშრუტს.

მამკოდას მონასტრიდან მარშრუტი გრძელდება აღმოსავლეთით, ნორიოს მიმართულებით. ამ სეგმენტზე შესაძლებელია რამდენიმე ადგილის გამოყოფა კემპინგისთვის, ასევე პერსპექტიულია ექსტრემალური ველობილიკის მოწყობა და ცხენებით გადაადგილების შეთავაზება. სოფ. ნორიოსა და სოფ. მარტყოფთან ვიზიტორებისთვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს აქ არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები. ნორიოს შემდგომ მარშრუტი გრძელდება იალნოს ქედის მიმართულებით. ბოლო პუნქტზე დაგეგმილია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გულისხმობს ტურისტული კოტეჯის (იალნოს კოტეჯი), საპიკნიკეს, საცეცხლურის და  სხვა მოწყობას. როგორც ზემოთ აღინიშნა ასევე იგეგმება ამ ეკოტურისტული ბილიკის განახლება და კეთილმოწყობა. მარშრუტის საერთო სიგრძე (საბაზისო ლოკაციიდან იალნოს კოტეჯამდე) შეადგენს დაახლოებით 28 კმ-ს, თუმცა ეს მარშრუტი უერთდება ეროვნული პარკის ეკოტურისტული ბილიკების მთავარ არტერიას - იალნოს ქედზე გამავალ ბილიკს, რაც ტურის გახანგრძლივების საშუალებას იძლევა.

3. მამკოდის ლოკაცია-ზედაზნის მონასტერი

მარშრუტის მიახლოებითი სიგრძე - 20 კმ. სირთულე - მარტივი და საშუალო. საბაზისო პუნქტიდან (მამკოდის ტურისტული ლოკაცია) მარშრუტი კვეთს მდ. გლდანულას, სამანქანო გზით ან საფეხმავლო ბილიკით ადის სოფ. ვეჯინში. სოფ. ვაჯინიდან ბოლო პუნქტამდე (ზედაზენის სამონასტრო კომპლექსი) შესაძლებელია სამი განსხვავებული მარშრუტით საგანმანათლებლო ტურის შეთავაზება. ბოლო პუნქტს წარმოადგენს ზედაზენის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც საგურამოს ქედის დასავლეთ ნაწილში, ზედაზნის მთაზე მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ამ პოტენციური ტურისტული მარშრუტის შეთავაზება და პოპულარიზაცია შეიძლება მოხდეს პირიქით, ზედაზნის ტურისტული ლოკაციიდან მამკოდის ლოკაციამდე. შესაძლებელია საცხენოსნო და საფეხმავლო ტურების მოწყობა.

აღნიშნულ მარშრუტზე არსებული და პერსპექტიული ღირშესანიშნაობებია:

ვეჯინის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კომპლექსი. კომპლექსში შედის ეკლესიები, ნასაყდარი, წმინდა გიორგის ნიში და სამეურნეო დანიშნულების შენობათა ნაშთები. ყველა ნაგებობა რიყის ქვითა და ქვიშაქვით არის ნაგები. ვეჯინის კომპლექსი დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. ასევე სოფ. ვეჯინში შემოთავაზებულია საცხენოსნო ტურების მოწყობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება ცხენების გაქირავება.

საგანმანათლებლო ბილიკები: აღნიშნული ბიოლიკები გადის თბილისის ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში ან ამ ზონის საზღვრის გასწვრივ. თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის მიხედვით ბუნების მკაცრი დაცვის ზონა შექმნილია იმ ხელუხლებელი ბუნებისა და ჰაბიტატის შესანარჩუნებლად, რომლებიც ძალიან ახლოს არიან თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობასთან, ასევე არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევებისა და ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე

შემოთავაზებულ ბილიკებზე შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, ლანდშაფტების დათვალიერება და ფოტოგრაფია.

შემდეგ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს ზედაზნის სამონასტრო კომპლექსი. შესაძლებელია პილიგრიმული ტურების შეთავაზება.

აღსანიშნავია, რომ ეს მარშრუტი შეიძლება გაგრძელდეს და დაუკავშირდეს მშენებარე ვიზიტორთა ცენტრს საგურამოსთან. აქვე იგეგმება საპიკნიკეს, საცეცხლურის და სხვა ეკოტურისტული სერვისების განვითარება. როგორც ზემოთ აღინიშნა საგურამოს დაგეგმილი ვიზიტორთა ცენტრიდან შესაძლებელია გადაადგილება არაერთი მიმართულებით, მათ შორის: შანკევანის, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის, კოტორაანთკარის, მშრალ-ხევის მიმართულებით.

4. მამკოდის ლოკაცია-ცხვარიჭამია

ეს მარშრუტი თავდაპირველად გულისხმობს საავტომობილო, საცხენოსნო ან საფეხმავლო გადაადგილებას თბილისი-თიანეთის გზაზე ცხვარიჭამიას მიმართულებით. სოფ. ცხვარიჭამიასთან კი გადის ეროვნული პარკის ტურისტული ბილიკების მთავარი არტერია - იალნოს ქედზე გამავალი მარშრუტი. შესაბამისად აქედან შესაძლებელია დაკავშირება ეროვნული პარკის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ნაწილში დაგეგმილ/არსებულ ეკოტურისტულ ღირშესანიშნაობებთან. ცხვარიჭამიადან შესაძლებელია როგორც საფეხმავლო, ასევე საცხენოსნო და ექსტრემალური ველოტურების შეთავაზება.

### 4.2.1.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

მამკოდის ალტერნატიული ლოკაციის განვითარების შეთავაზებული კონცეფცია ითვალისწინებს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. განსაზღვრული არ არის მასშტაბური კომპლექსების მოწყობა, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების მომატებული საფრთხეებით ხასიათდება. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მსგავსი ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაციისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას არ ითვალისწინებს. მსგავსი საქმიანობები ძირითადად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს ექვემდებარება.

თუმცა ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). აქვე, შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე (საგურამო - GE0000047) მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის

საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, უსაფრთხოების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სატრანსპორტო მართვის გეგმა. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

### 4.2.2 ალტერნატივა 2 – „საბადურის ეკოტურისტული ლოკაცია“;

#### 4.2.2.1 ადგილმდებარეობის აღწერა

**ადგილმდებარეობა და ფართობი:** მცხეთის მუნიციპალიტეტი, ცხვარიჭამიას თემი (მცხეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების საზღვართან). კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 492461; Y – 4639697; Z – 1380-1430.

მე-2 ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს თბილისის ეროვნული პარკის ჩრდილოეთ ნაწილში, საბადურის ქედის ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობზე, თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზის მომიჯნავედ. ლოკაცია ქ. თბილისიდან დაშორებულია 25 კმ მანძილით, თიანეთიდან - 20 კმ მანძილით.



ტერიტორია წარმოადგენს ხშირი ტყით დაფარულ ტერიტორიას, პერსპექტიული ფართობით 37 ჰა. თუმცა რელიეფური პირობების და მცენარეული საფარის სიხშირის გათვალისწინებით ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელია ლოკალური განლაგებით, საერთო ფართობის მხოლოდ მცირე ნაწილზე.

**რელიეფი და გეოლოგიური პირობები:** ტერიტორია წარმოადგენს დაახლოებით 6-8%-იანი დახრილობის ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობს. ტერიტორიაზე და მიმდებარე არეალში განვითარებულია მაღალი სიხშირის ტყით დაფარული დენუდაციური რელიეფი. თანამედროვე ეგზოგეოდინამიკური პროცესებიდან აღსანიშნავია ლოკალური მეწყრული პროცესები, რისი პროვოცირების მიზეზიც გარკვეულწილად აქ გამავალი საავტომობილო გზაა.

**ჰაბიტატები და მცენარეული საფარი:** ლოკაციაზე წარმოდგენილია G1.A1 ტიპის ჰაბიტატი - მუხის - იფანის - რცხილას ტყე ეუტროფულ და მეზოტროფულ ნიადაგებზე. მისი ბუნებრიობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე წარმოდგენილ ტყეებში, ალაგ-ალაგ დომინირებს წიფელი, რაც გარკვეულწილად შესაბამისობაშია G1.6 ტიპის ჰაბიტატთან. ჰაბიტატები გარკვეულწილად ფრაგმენტირებული და სახეცვლილია არსებული საავტომობილო გზის და აქ განვითარებული მეწყრული მოვლენების შედეგად.



მცენარეული საფარი გამოირჩევა ფლორისტული მრავალფეროვნებით. დომინანტური სახეობაა:

რცხილა *(Carpinus betulus),* წიფელი *(Fagus orientalis),* ქართული მუხა *(Quercus iberica)* და სხვ. საველე კვლევის შედეგად არ გამოვლენილა ზურმუხტის ქსელის უბნისთვის დამახასიათებელი სახეობა - ველის იორდასალამი *(Paeonia tenuifolia).* აღნიშნული მცენარის საარსებო გარემოს წარმოადგენს მდელოს ტიპის ჰაბიტატი და აქ მისი შეხვედრილობის ალბათობა ძალზედ დაბალია. ყურადღება გამახვილდა სხვა მნიშვნელოვან სახეობებზე, როგორიცაა კოლხური ბზა *(Buxus colchica) და* კაკალი *(Juglans regia)* (დაცულია საქართველოს წითელი ნუსხით). რომელიმე მათგანი საველე კვლევის დროს ლოკაციის მიმდებარედ დაფიქსირებული არ ყოფილა.

**ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები:** განსახილველ ლოკაციაზე და მიმდებარე არეალში ძუძუმწოვრები ძირითადად ტყისათვის დამახასიათებელი სახეობებითაა წარმოდგენილი. ისეთი მსხვილი ზომის ძუძუმწოვრების, როგორიცაა დათვი *(Ursus arctos)* და მგელი *(Canis lupus)* არსებობის ნიშნები არ დაფიქსირებულა. აქ მათი საბინადრო ადგილების არსებობის ალბათობა მინიმალურია, რადგან ძალიან მაღალია შემაწუხებელი ფაქტორების გავლენა. თუმცა მათი ამ ლოკაციაზე მოხვედრა გამორიცხული არ არის, განსაკუთრებით მიგრაციის დროს. ტერიტორიის სიახლოვეს დიდი ზომის წყლის ობიექტები წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად ეს არეალი ვერ ჩაითვლება წავისთვის *(Lutra lutra)* მიმზიდველ საარსებო გარემოდ. კვლევის დროს ამ სახეობის არსებობის რაიმე ნიშანი არ დაფიქსირებულა.

ვიზუალურად დათვალიერდა ხელფრთიანების საბინადროდ შესაფერისი ჰაბიტატი (ფუღუროიანი ხეები). კვლევის შედეგად აღნიშნული ტიპის ხეები ნანახი ვერ იქნა. გარდა ამისა საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ავტომობილებით გამოწვეული ხმაური დამაფრთხობელ ფაქტორს წარმოადგენს ხელფრთიანებისთვის. ლოკაციაზე ძირითადად შეიძლება შეგხვდეს წვრილი ძუძუმწოვრების წარმომადგენლები, როგორიცაა ტყის თაგვი და სხვ. ისინი არ წარმოადგენს თბილისის ეროვნული პარკისთვის მაღალი მგრძნობელობის სახეობებს.

ლანდშაფტური თავისებურებებიდან გამომდინარე მინიმალურია დიდი ზომის ღეშიჭამია და მტაცებელი ფრინველების: ფასკუნჯის, არწივის და სხვა მოხვედრა. საავტომობილო გზის მიმდებარე ტყიანი უბნებისთვის დამახასიათებელია მცირე ზომის ფრინველები, როგორიცაა: ბაღის გრატა *(Emberiza hortulana)* წითელყელა ბუზიჭერია *(Ficedula parva),* ტყის ტოროლა *(Lullula arborea)* და სხვ.

**არსებული კომუნიკაციები:** ლოკაციის სიახლოვეს გადის თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზა. სხვა კომუნიკაციების მხრივ ლოკაციის მიმდებარე არეალი ნაკლებად განვითარებულია. ელექტრომომარაგება შეიძლება განხორციელდეს სოფ. ღულელებიდან ან ცხვარიჭამიადან, საავტომობილო გზის გასწვრივ ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის გზით (დაშორება დაახლოებით 4 კმ ორივე მიმართულებით). ასევე პერსპექტიულია გაზიფიცირება სოფ. ცხვარიჭამიას მხრიდან. წყალმომარაგება - ჭაბურღილის მოწყობის, ახლომდებარე წყაროების დაკაპტაჟების გზით ან ცხვარიჭამიადან თვითდენით. ტერიტორია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

**ტურისტული ფონი:** შეთავაზებული ლოკაცია ეროვნული პარკის საზღვრებში ერთ-ერთ ყველაზე ცნობად ტერიტორიას წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ვიზიტორებისთვის. საბადურის ტყე წლის ყველა სეზონზე ძალიან ლამაზია, თუმცა ზამთარში და შემოდგომაზე განსაკუთრებით მიმზიდველია. ამ ადგილს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა რეგიონიდან ფოტოების გადასაღებად და საპიკნიკედ.

#### 4.2.2.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

საბადურის ლოკაციის დადებითი ფაქტორებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მისი ადგილმდებარეობა. ხელსაყრელია საბაზისო ტურისტული ცენტრის განვითარებისთვის,

საიდანაც მეტ-ნაკლებად თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი ეროვნული პარკის ფარგლებში არსებული და პერსპექტიული ეკოტურისტული სერვისები. რაც მთავარია მაღალია ლოკაციის პოპულარობა ქ. თბილისის მაცხოვრებლებისთვის - მიმზიდველია აქ არსებული მაღალღირებული პეიზაჟები და ლანდშაფტი. მისასვლელი გზის არსებობა და შედარებით მისაღები რელიეფური პირობები კიდევ უფრო ზრდის ამ ადგილზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივას.

შედარებით ნაკლოვანი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს მგრძნობიარე საინჟინრო-გეოლოგიური და ბიოლოგიური გარემო და ამის გამო შეზღუდვები არქიტექტურული გადაწყვეტების და სივრცითი მოწყობის თვალსაზრისით. არსებობს გარკვეული სირთულეები წყალმომარაგების და წყალარინების მხრივ. როგორც აღინიშნა ეს ლოკაცია ძალზედ პოპულარულია ტურისტებისთვის და შესაბამისად ამ ადგილებში ინვესტირებამ შეიძლება შეზღუდოს ტრადიციული საპიკნიკე ადგილები.

#### 4.2.2.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაციაზე არსებობს ფართობი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, თუმცა შეზღუდულია საკმაოდ მაღალი ღირებულების ტყის საფარის გათვალისწინებით. შესაბამისად ამ ლოკაციაზე რეკომენდირებულია მხოლოდ მცირე ზომის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება, რომელიც ლოკალურად, მოზაიკური პრინციპით უნდა განვითარდეს, ისე, რომ მაქსიმალურად შენარჩუნდეს ხე-მცენარეული საფარი.

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ძირითადი ზონა:

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,05 ჰა;
- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 2,4 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,5 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი 34,2 ჰა.

ადმინისტრაციული ზონა - ვიზიტორთა ცენტრი/ადმინისტრაცია, შერჩეული ტერიტორიის დაახლოებით 0,2 %, რომელიც მდებარეობს ტერიტორიის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. აღნიშნულ ზონაში გათვალისწინებულია:

- რეინჯერების ქოხი;
- საინფორმაციო სტენდი.

სამშენებლო ზონა - ტერიტორიის დაახლოებით 6,5 %. ეს ზონა გამოიყო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, ტყით შედარებით ნაკლებად დაფარულ უბანზე, რომელიც ემიჯნება ადმინისტრაციულ ზონას. ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა და ეკოტურისტული სერვისები:

- მცირე ზომის კოტეჯები;
- ვიზიტორთა ცენტრი;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, და ა.შ.);
- და სხვა.

სატრანსპორტო ზონა - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 1,2 %-ს და ემთხვევა არსებულ გრუნტის გზას. სატრანსპორტო ზონა უკავშირდება ადმინისტრაციულ- სამშენებლო და რეკრეაციულ ზონებს, რაც უზრუნველყოფს შერჩეული ლოკაციის ყველა ზონამდე ხელსაყრელ გადაადგილებას. აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს:


- საგზაო ინფრასტრუქტურა;
- საპარკინგე სივრცეები.


რეკრეაციული ზონა - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 92,1 %, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ადგილები, როგორიც არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის ძირითადი ნაწილი გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს შემდეგი ეკოტურისტული სერვისების განთავსებას:

- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- თოკების პარკი;
- საბავშვო გასართობი სივრცეები;
- და სხვა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.2.3.1.

ნახაზი 4.2.2.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




492133 139637
492333 139637
492533 139637
492733 139637
492933 139637
4640385 953303
4640085 953303
4639785 953303
4639485 953303
4639185 953303
N
ლეგენდა
ადმინისტრაციული ზონა
საამშენებლო ზონა
რეკრიაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0 0.05 0.1 0.2 კმ
1:5000

#### 4.2.2.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

საბადურის ლოკაციასთან დაკავშირებული, შემოთავაზებული ტურისტული მარშრუტებია:

<u>1. საბადურის ლოკაცია-იალნოს ქედი-მარტყოფის მონასტერი:</u>

მარშრუტის მიახლოებითი სიგრძე - ≈25 კმ. სირთულე - მარტივი-საშუალო. საბაზისო პუნქტიდან (საბადურის ლოკაცია) მარშრუტი თავდაპირველად (სოფ. ცხვარიჭამიამდე) ემთხვევა თბილისი-თიანეთის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას და ადის იალნოს ქედის თხემურ ნაწილზე. აქ საბადურის ლოკაცია უკავშირდება თხემურ ნაწილზე გამავალ მთავარ ტურისტულ ბილიკს, რომის საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება ეროვნული პარკის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ნაწილში არსებული ღირშესანიშნაობები. შემდგომ მარშრუტი ჩამოდის მარტყოფის მონასტერთან. შესაძლებელია საფეხმავლო, საცხენოსნო და ველო ტურების მოწყობა.

აღნიშნულ მარშრუტზე არსებული და პერსპექტიული ღირშესანიშნაობებია:

სოფ. ცხვარიჭამიას ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ვიზიტორტათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს აქ არსებული ისტორიულ-კულტურული ობიექტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია: დიდი საყდარი - „ამაღლების“ ეკლესია, პატარა საყდარი - „ღვთიშობლის“ ეკლესია.

სოფ. ცხვარიჭამიაში შესაძლებელია ველოსიპედების ან ცხენების გაქირავების სერვისის შეთავაზება და ამ მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. დღეისათვის ამ ლოკაციაზე დანერგილია ექსტრემალური ველოტურების მოწყობის პრაქტიკა ცხვარიჭამიადან მარტყოფის მონასტერის გავლით, თბილისის შემოვლით გზამდე. პერსპექტივაში შემოთავაზებულია ამ მარშრუტის დახვეწა და თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა, შესაბამისი მანიშნებელი და შესასვენებელი ინფასტრუქტურის განვითარება.

მარშრუტი გაივლის იალნოს პერსპექტიულ ტურისტული კოტეჯის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის (საპიკნიკე, საცეცხლური და სხვა) განთავსების ადგილს. გარდა ამისა, მარშრუტის რამდენიმე ლოკაციაზე შესაძლებელია შემოტავაზებული იყოს სხვა ალტერნატიული საკემპინგე ადგილები.

მარშრუტის ბოლო პუნქტში ვიზიტორთათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს აქ არსებული სამონასტრო კომპლექსი, რომელიც რამდენიმე ტაძრის, სამრეკლოს, საბერეების და სხვა ნაგებობებისაგან შედგება. შესაძლებელია პილიგრიმული ტურების შეთავაზება.

<u>2. საბადურის ლოკაცია-იალნოს ქედი-ზედაზენის მონასტერი:</u>

მარშრუტის საწყის მონაკვეთზე (სოფ. ცხვარიჭამიამდე) შესაძლებელია იგივე სერვისების შეთავაზება, რაც წინა მარშრუტის შემთხვევაში. შემდგომ მარშრუტი ეროვნული პარკის საკვანძო ტურისტული ბილიკის საშუალებით (იალნოს ქედის თხემური ნაწილის გავლით) გადადის ზედაზნის მონასტერთან. ასევე უკაშირდება ამ არეალში დაგეგმილ ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას (საგურამოს პერსპექტიულ ვიზიტორთას ცენტრს და მასთან დაკავშირებულ ეკოტურისტულ ღირშესანიშნაობებს). შესაძლებელია ეკოსაგანმანათლებლო ტურების შეთავაზება.

<u>3. საბადურის ლოკაცია-კევლიანი-იალნოს ქედი:</u>

მარშრუტის მიახლოებითი სიგრძე - ≈25-30 კმ. სირთულე - მარტივი-საშუალო. საბაზისო პუნქტიდან (საბადურის ლოკაცია) მარშრუტის მცირე მონაკვეთი თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზას ემთხვევა. მიემართება აღმოსავლეთით, ქედის თხემური ნაწილის გავლით და ჩადის სოფ. კევლიანში. სოფ. კევლიანის შემდგომ არსებობს ორი ვარიანტი: მარშრუტის გაგრძელება პირდაპირ იალნოს ქედის მიმართულებით (იალნოს პერსპექტიულ კოტეჯამდე) ან მარშრუტის გაგრძელება აღმოსავლეთით, მკაცრი დაცვის ზონის გავლით,

რომელიც შემდგომ ადის ასევე იალნოს პერსპექტიულ კოტეჯამდე. შესაძლებელია საცხენოსნო და საფეხმავლო ტურების მოწყობა.

აღნიშნულ მარშრუტზე არსებული და პერსპექტიული ღირშესანიშნაობებია:

საბადურთან შემოთავაზებულია საცხენოსნო ტურების მოწყობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება ცხენების გაქირავება.

სოფ. კევლიანამდე დაგეგმილია სათიბის კოტეჯის და შესაბამის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის (საცეცხლური, საპიკნიკე და სხვა) მოწყობა. გარდა ამისა, ამ სეგმენტის რამდენიმე უბანზე შესაძლებელია განვითარდეს საკემპინგე ადგილები.

სოფ. კევლიანში ვიზიტორთათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს აქ არსებული ისტორიულ-კულტურული ობიექტები.

კევლიანის შემდგომ მარშრუტის ერთ-ერთი ალტერნატივა გადის თბილისის ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში ან ამ ზონის საზღვრის გასწვრივ. თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის მიხედვით ბუნების მკაცრი დაცვის ზონა შექმნილია იმ ხელუხლებელი ბუნებისა და ჰაბიტატის შესანარჩუნებლად, რომლებიც ძალიან ახლოს არიან თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობასთან, ასევე არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევებისა და ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე შემოთავაზებულ ბილიკებზე შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, ლანდშაფტების დათვალიერება და ფოტოგრაფია.

მარშრუტი სრულდება იალნოს პერსპექტიულ ეკოტურისტულ კოტეჯთან, რომელიც საკვანძო ადგილზეა გათვალისწინებული. ამის შემდგომ შესაძლებელია ტურის გაგრძელება როგორც დასავლეთის მიმართულებით, ასევე მარტყოფის მხარეს.

<u>4. საბადურის ლოკაცია-სოფ. ღულელები:</u>

მარშრუტის საერთო სიგრძე - 6,0 კმ, სირთულე - მარტივი. საბაზისო პუნქტიდან (საბადურის ლოკაცია) მარშრუტი არსებული საავტომობილო გზის გავლით ჩადის სოფ. ღულელებში. ამ მარშრუტის გავლით შესაძლებელია რეგიონში არსებულ, პოპულარულ რეკრეაციულ ადგილზე (სიონის წყალსაცავი) გადასვლა. შესაძლებელია სამანქანო და საფეხმავლო ტურების მოწყობა. სოფ. ღულელების სიახლოვეს შესაძლებელია ადგილობრივი ნაწარმის გასაყიდი პუნქტის (დახლების) მოწყობა.

### 4.2.2.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება შემოთავაზებული კონცეფციით არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას და შესაბამისად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს დაექვემდებარება.

თუმცა ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ტბის გასწვრივ ნაპირდამცავი ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ-ში საკვანძო საკითხს უნდა წარმოადგენდეს ბიომრავალფეროვნების მართვის და შესაბამისი შერბილების ღონისძიებების საკითხები. რეკომენდირებულია ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმის მომზადდება ცალკე დოკუმენტის სახით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ზზშ-ს დოკუმენტთან. გარდა ამისა, რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

### 4.2.3 ალტერნატივა 3 - „ზედაზნის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია“.

#### 4.2.3.1 ადგილმდებარეობის აღწერა

**ადგილმდებარეობა და ფართობი:** მცხეთის მუნიციპალიტეტი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 481620; Y – 4636439; Z – 1150-1210.


მე-3 ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს თბილისის ეროვნული პარკის დასავლეთით, საგურამოს ქედის თხემურ ნაწილში (ზედაზნის მთაზე), ზედაზენის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ. ტერიტორიამდე საავტომობილო გზა მიდის საგურამოს მხრიდან, რაც ართულებს ქ. თბილისიდან გადაადგილების შესაძლებლობას. ლოკაცია ქ. მცხეთიდან დაშორებულია 18 კმ მანძილით.



ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ფართობი საკმადო შეზღუდულია და არ აღემატება 5,7 ჰა-ს. კონტრასტული რელიეფი და ხშირი ტყით დაფარულობა მიმზიდველია ლოკაციაზე ეკოსტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

**რელიეფი და გეოლოგიური პირობები:** საგურამოს ქედის ეს ნაწილი აგებულია მეოტურ-პონტური კონტინენტური კონგლომერატებით, ქვიშაქვებისა და თიხების შუაშრეებით. მიუხედავად რელიეფური პირობებისა, მნიშვნელოვანი ეგზოგეოდინამიკური პროცესების გამოვლინება არ აღინიშნება, რისი მთავარი მიზეზია ხშირი მცენარეული საფარი.

**ჰაბიტატები და მცენარეული საფარი:** ეს ტერიტორია და მიმდებარე არეალი შემოსილია ტყის ყომრალ ნიადაგებზე გავრცელებული რცხილა-წიფლისა და წიფლის ტყეებით. ასევე გვხდება შემდეგი სახეობები: მთის პიტნა *(Calamintha grandiflora),* ჭანჭყატი *(Euonymus europaeus),*



ბუერა *(Petasites albus),* ჯაგრცხილა *(Carpinus orientalis)* და სხვ. ჰაბიტატების ბუნებრიობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. სახეობრივი შემადგენლობის გათვალისწინებით იგი G1.A1 ტიპის ჰაბიტატს - მუხის - იფანის - რცხილას ტყე ეუტროფულ და მეზოტროფულ ნიადაგებზე, შეიძლება მეიკუთვნოს.

**ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები:** ისევე როგორც ალტერნატივა 2-ის შემთხვევაში, ამ ლოკაციაზეც ტყის ჰაბიტატებისთვის დამახასიათებელი, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული სახეობები შეიძლება შეგხვდეს. თუმცა შემაწუხებელი ფაქტორები აქ ნაკლებია.

**არსებული კომუნიკაციები:** ლოკაციის სიახლოვეს გადის საგურამო ზედაზნის მონასტერის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა. ელექტრომომარაგება შეიძლება განხორციელდეს საგურამოდან (დაშორება დაახლოებით 4 კმ). წყალმომარაგებისთვის შესაძლებელია შემოთავაზებული იყოს ახლომდებარე წყაროების დაკაპტაჟება ან ჭაბურღილის მოწყობა. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში. საერთო ჯამში, ლოკაციის სხვადასხვა კომუნიკაციებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვან სირთულეებთან არ იქნება დაკავშირებული.

**ტურისტული ფონი:** ლოკაციის მიმდებარე არეალის ცნობადობა საკმაოდ მაღალია. მიმზიდველია ლაშქრობის, ექსტრემის მოყვარული, ასევე კულტურული ტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორებისთვის, წელიწადის ოთხივე სეზონზე.

### 4.2.3.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ალტერნატიული ეკოტურისტული ლოკაცია გამოირჩევა მაღალღირებული პეიზაჟებით, ვიზუალურ-ლანდშაფტური ხედებით. ლოკაციის პერსპექტიულობას მნიშვნელოვნად ზრდის ქ. თბილისის და ქ. მცხეთის საკურორტო ზონის სიახლოვე, ასევე აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალთან კავშირი. სხვა დადებითი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს: შედარებით მისაღები რელიეფური პირობები; ზედაზნის სამონასტრო კომპლექსის სიახლოვე და პილიგრიმული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; ეროვნული პარკის საზღვრებში გამოყოფილი საგანმანათლებლო ტურებისთვის მიმზიდელ ტერიტორიებთან ხელსაყრელი განლაგება; უკვე არსებული ინფრასტრუქტურა და საბაზისო კომუნიკაციების ქსელის (წყალი, ელექტროენერგია, ინტერნეტი და სხვა) მეტ-ნაკლები ხელმისაწვდომობა და სხვა.

მეორე მხრივ ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შემზღუდავ ფაქტორებად უნდა დასახელდეს: თბილისის ეროვნული პარკის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ პერსპექტიულ ეკოტურისტულ სერვისებთან/ღირშესანიშნაობებთან ნაკლებად ხელსაყრელი განლაგება; მაღალღირებულ ბიოლოგიურ კომპონენტებზე ზემოქმედების რისკები (ინფრასტრუქტურის დაგეგმარება-განხორციელების პირობებში აუცილებელია ამ საკითხის გათვალისწინება); ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ სასულიერო პირებს შორის - რელიგიური რიტუალების ხელშეშლის რისკები.

### 4.2.3.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ძირითადი ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია რუკაზე იხილეთ ქვემოთ):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,15 ჰა;

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 1,5 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,3 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 3,8 ჰა.

ადმინისტრაციული ზონა - ტერიტორიის დაახლოებით 2,6 %, რომელიც გამოიყო ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. აღსანიშნავია, რომ ამ ზონაში ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის მშენებლობა უკვე დაწყებულია. ტერიტორიაზე განიხილება შემდეგი ობიექტების მოწყობა:

- ვიზიტორთა ცენტრი;
- საინფორმაციო სივრცე;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი სივრცე, და ა.შ.).

სამშენებლო ზონა - ტერიტორიის დაახლოებით 25,7%. ეს ზონა გამოიყო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში. ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა და ეკოტურისტული სერვისები:

- მცირე ზომის სასტუმრო კოტეჯები;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, და ა.შ.);
- და სხვა.

სატრანსპორტო ზონა - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 5,3%-ს და შეირჩა ძირითადად არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის გასწვრივ. სატრანსპორტო ზონა უზრუნველყოფს შერჩეული ლოკაციის სამივე სხვა ზონამდე, ხელსაყრელ გადაადგილებას. აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს:


- საგზაო ინფრასტრუქტურა,
- საპარკინგე სივრცეები.

რეკრეაციული ზონა - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 66,4%, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ადგილები, როგორიც არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს:

- საკემპინგე სივრცეები;
- თოკების პარკი;
- საბავშვო გასართობი სივრცეები;
- საპიკნიკე ტერიტორია;
- და სხვა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.3.3.1.

ნახაზი 4.2.3.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია



#### 4.2.3.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ზედაზნის ეკოტურისტულ ლოკაციას ძალზედ ხელსაყრელი განლაგება აქვს ეროვნული პარკის და ასევე მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ თუ დაგეგმილ სხვადასხვა ტურისტულ ღირშესანიშნაობებთან. ამ არეალში დაგეგმილია საგურამოს ვიზიტორთა ცენტრის და შესაბამისი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ეს ადგილი უკავშირდება ეროვნული პარკის დასავლეთ ნაწილის ყველა ეკოტურისტულ ბილიკს, ხოლო იალნოს ქედზე გამავალი ბილიკის საშუალებით შესაძლებელია რამდენიმედღიანი სალაშქრო ტურების მოწყობა აღმოსავლეთ ნაწილში არსებული/დაგეგმილი სერვისებით სარგებლობის მიზნით. შესაძლებელია კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებო ტურების მოწყობა.

#### 4.2.3.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ნაპირდამცავი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

### 4.3 კონსერვაციის პრინციპების დაცვა და უსაფრთხოება

შერჩეულ პერსპექტიული ლოკაციებზე ეკოტურისტული კომპლექსის დაგეგმვა-განვითარების პროცესში აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი კვლევების ჩატარება და შესაბამის სახელმწიფო უწყებებიდან შეთანხმებების/ნებართვების/ლიცენზიების მიღება (სავარაუდო კვლევების და საჭირო გარემოსდაცვითი/უსაფრთხოების დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია მე-4 თავის შესაბამის პარაგრაფებში). აუცილებელია საჭირო კვლევების და სანებართვო დოკუმენტაციების მიღების ვალდებულება დეტალურად გაწერილი იყოს კერძო ბიზნესთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. კვლევების და სანებართვო პროცედურების შესრულების ხარისხს მონიტორინგს გაუწევს დაცული ტერიტორიების სააგენტო.

როგორც წესი, კერძო ინვესტორს სურს მიიღოს იჯარის რაც შეიძლება ხანგრძლივი პერიოდი, რათა უზრუნველყოს საწყისი ინვესტიციის ამოგება. დაცულ ტერიტორიებზე გრძელვადიანი საქმიანობის რისკი არის ის, რომ ბიზნესი შეიძლება წარუმატებელი აღმოჩნდეს, უარი თქვას ან შეეცადოს შეცვალოს საიჯარო ხელშეკრულების პრინციპები. ამრიგად, ისეთი გარანტიები, როგორიცაა უფლებებისა და პასუხისმგებლობების მონახაზი, მონიტორინგის პროცესები და არადამაკმაყოფილებელი შესრულების შემთხვევები, ასევე დეტალურად უნდა გაიწეროს ხელშეკრულებებში.

## 5 დასკვნები და რეკომენდაციები

- თბილისის ეროვნული პარკი საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს ტურისტული თვალსაზრისით, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ვიზიტორებისათვის. აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვა განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპების, ეროვნული და სერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაცული ტერიტორიების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, რესურსებით ჭარბი სარგებლობის პრევენციის გზით.
- თბილიის ეროვნული პარკის საზღვრებში და მის მომიჯნავე დასახლებულ პუნქტებში სატრანსპორტო ინფრსატრუქტურა და კომუნიკაციების ქსელი განვითარებულია, მიუხედავად ამისა, ტურისტული სერვისები სუსტად არის განვითარებული. საჭიროა უშუალოდ ეკო-ტურიზმთან დაკავშირებული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითრება, ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, რაც მნიშველოვნად შეუწყობს ხელს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას და შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობისა თუ ტურიზმში ჩართული სხვა ოპერატორების სოციო-ეკონომიკური მგომარეობის გაუმჯობესებას.
- თბილისის ეროვნული პარკის და მის მიმდებარე ზონებში პრობლემატურია ნარჩენების მართვის საკითხი, რაც ამ ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და ასევე ეკო-ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ ხელისშემშლელი ფაქტორია. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს მოწესრიგებას, ნარჩენების მართვის გეგმების მომზადებასა და მის განხორციელებას.
- თბილისის ეროვნული პარკის ფარგლებში ეკო-ტურიზმის განვითარების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი იქ არსებული თვითმყოფად ბუნებრივი გარემოსა და ლანდშაფტებთან ერთად, ისტორიულ-კულტურული ძეგლები წარმოადგენს, შესაბამისად მნიშვნელოვანია ეკო-ტურიზმის განვითარება მოხდეს შესაბამისი ობიექტების მართვასა და დაცვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან ერთად.

- ეკო-ტურიზმის განვითარებისათვის უმთავრეს ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თბილისის ეროვნულ პარკს ესაზღვრება საქართველოს ორი უმნიშვნელოვანესი ქალაქი - თბილისი და მცხეთა, რომელთა ტურისტული პოტენციალი შეიძლება გამოყენებულ იქნას თბილისის ეროვნული პარკის ცნობადობის გასაზრდელად.
- თბილისის ეროვნული პარკი ეკო-ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარების შესაძლებლობას იძლევა, როგორიცაა საგანმანათლებლო, სათავგადასავლო, კულტურული, აგრო და გასტრონომიული ტურიზმი და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა ტურისტული სერვისები.
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა ადამიანური რესურსებისა, მათ შორის და საჭირო აღწჭურვილობის ნაკლებობა, შესაბამისად რეკომენდირებულია ეკო-ტურიზმის განვითარების პარალელურად დაცული ტერიტორიების თანამშრომლების, მათ შორის გიდების, დამხმარე ზონაში მცხოვრები ტურიზმის სფეროში ჩართული წარმომადგენლების და სხვა ტუროპერატორების კვალიფიკაციის ამაღლება ტურისტული სერვისების განვითარების მიმართულებით.
- ეკო-ტურიზმის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისას აუცილებელია უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინება და შესაბამისი გეგმების მომზადება, როგორიცაა ტურისტების გადაადგილების მარშრუტებზე უსაფრთხოების წესების შემუშავება, ხანძარსაწინააღმდეგო გეგმების მომზადება და ა.შ).
- ტურისტული ობიექტების მშენებლობის დაგეგმვამდე საჭიროა ტერიტორიაზე დეტალური ჰიდრო - გეოლოგიური კვლევის ჩატარება.
- გენერალური გეგმის პროექტის იმპლემენტაციის პროცესში შესასრულებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით მოთხოვნილი გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მომზადება.

# 6 გამოყენებული ლიტერატურა


- თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა;
- მონოგრაფია „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი“ (დალი ნიკოლაიშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. - [თბ.], 2009 წელი;
- დაპროექტების ნორმები - ,,სამშენებლო კლიმატოლოგია” (პნ 01.05-08). საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/1743, 2008 წელი;
- სამშენებლო ნორმების და წესები – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09). საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წელი.

ვებ-გვერდები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო - www.apa.gov.ge
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია www.gnta.ge